

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თამთა ნაკაშიძე

დედაენის საგალობელი რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ქართული ლიტერატურის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ნაილე მიქელაძე,
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ბიჭაური 2019

ანოტაცია

ნაშრომში „დედაენის საგალობელი რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში“ საუბარია სამშობლოს სიყვარულით აღგზნებული პოეტის ეროვნული ციკლის ლექსებზე. რაფიელ ერისთავის შემოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში. მისი ლექსები გამსჭვალულია მაღალი ეროვნული სულიერებით. პოეტის შემოქმედებამ, განსაკუთრებით კი მისმა ეროვნულ-პატრიოტულმა ლექსებმა, ქართველი ხალხის გულწრფელი სიყვარული და აღიარება დაიმსახურა.

რაფიელ ერისთავის ლექსების უბრალო, მაგრამ დახვეწილმა სურთოვანმა მეტყველებამ პოეტის საბავშვო ლექსებშიც კპოვა გამოხატულება. მისი შემოქმედებაში ვხვდებით: ლექსებს, მოთხრობებს, ისტორიულ პოემებს, პიესებს და თარგმანებს, რომლებიც დღესაც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

პოეტისა და საზოგადო მოღვაწის შემოქმედებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა, ეროვნული თავისუფლების მოტივია. ეს მოტივი მის შემოქმედებაში თავს იჩენს სამწერლობო ასპარეზზე გამოჩენის პირველივე დღეებიდან. მის ლექსებში გამოსჭვივის ის რწმენა, რომელი რწმენითაც უნდა იზრდებოდეს ქართველი.

ამრიგად, თემა აქტუალურია და საინტერესო. თემაში შეძლებისდაგვარად, განხილულია პოეტის შემოქმედების ძირითადი მოტივები.

ვფიქრობთ, ნაშრომი საინტერესო იქნება რაფიელ ერისთავის შემოქმედებით დაინტერესებულ პირთათვის.

Annotation

The presented thesis “Chant for Mother Language in Rapiel Eristavi’s Creative Works” concerns to the national cycle poetry full of the love and devotion to the motherland. Rapiel Eristavi's works has a significant place in the 19th century Georgian literature. His poems are inspired by high national spirits. The poet's creative works, especially his national-patriotic poems, has earned the heartfelt love and recognition of the Georgian people.

Simple but sophisticated narrative of Rapiel Eristavi's poetry has found the relevant reflection in the poet's poems for children. In his creative works we find poems, stories, historical poems, plays, and translations that are still popular.

One of the most important topics for poetry and public figure is the motive of national freedom. This motive appears in his creative works from the very first days of his visit to the literary arena. We can find the faith in his poetry, which is the most significant value any Georgian should grow on.

Thus, the topic is relevant and interesting. The main motives of the poet's works are discussed from our point of view.

We believe that the work will be interesting for those interested in Rapiel Eristavi's creativity.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	5
თავი I. „დედაენის“ საგალობელი რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში..	9
თავი II. ეროვნული იდეალები რაფიელ ერისთავის პოეზიაში (ლექსები, პოემები, მოთხრობები).....	22
თავი III. რაფიელ ერისთავის საზოგადოებრივ-მეცნიერული ღვაწლი ქართველი ერის ისტორიაში.....	54
თავი IV. რაფიელ ერისთავის ღვაწლი ქართულ საყმაწვილო ლიტერატურაში.....	65
ძირითადი დასკვნები.....	73
გამოყენებული ლიტერატურა.....	75

შესავალი

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ფუძემდებელ მწერალთა შორის რაფიელ ერისთავს საპატიო ადგილი უჭირავს, იგი არა მარტო თვალსაჩინო მწერალია, არამედ დიდი საზოგადო მოღვაწე და ეროვნული კულტურისა თავდადებული მწერალია.

რაფიელ ერისთავის ლექსები მარტივი, მაგრამ ჭეშმარიტი მხატვრული გემოვნებითაა დაწერილი. ლექსისათვის რაფიელი ყოველთვის მარტივ ხალხურ სიტყვებს არჩევდა, გაურბოდა დახლართულ და შელამაზებულ ფრაზებს, მისი ენა ეყრდნობოდა ხალხურ სანცისებს. ეს გარემოება უადვილებდა პოეტს დაეხატა მშობლიური ბუნების მომხიბლავი სურათები. მის ბევრ ლექსს ხალხური ამბავი, თქმულება ან გადმოცემა უდევს საფუძვლად, მაგრამ პოეტის ნიჭისა და ოსტატობის წყალობით ამ მასალას სრულიად ახალი პოეტური ძალა აქვს მინიჭებული. რ. ერისთავის ბევრი ლექსი გადავიდა ხალხში და ვარიანტებად გავრცელდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, როგორც ხალხური ლექსი, ასეთია: „ქალი-აყვანა“, „პურის მოსავალი“, „სამშობლო ხევსურისა“ და სხვა.

რაფიელ ერისთავის ლექსების უბრალო, მაგრამ დახვეწილმა სურათოვანმა მეტყველებამ პოეტის საბავშვო ლექსებშიც ჰპოვა გამოხატულება. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა: „მერცხალი“, „გაზაფხული“, „დედა ენა“, „შემოდგომა“, „ზამთარი“. უნდა აღინიშნოს, რომ ვერ იპოვიდით „ბუნების კარის“, „დედა ენის“ ვერც ერთ გამოცემას, 80-90-იანი წლების ვერც ერთ საბავშვო ჟურნალ-გაზეთს, რომელშიც რ. ერისთავის ლექსები არ ყოფილიყო დაბეჭდილი.

რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პატრიოტულ ლირიკას. პოეტის ლექსები გამსჭვალულია იმ მაღალი ეროვნული სულისკვეთებით, რომელიც ქართულ მწერლობაში სამოციანელებმა დაამკვიდრეს. მათი მთავარი მიზანია ქართველი ერის ნაციონალური დამოუკიდებლობისა და ქართული ენის შენარჩუნებისათვის ბრძოლა. ეროვნულ-პატრიოტული იდეალების გამომხატველია ლექსები: „სამშობლო ხევსურისა“, „დედა ენა“, „რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო“, „ნეტა რას სტირი, დედილო“, „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“, „ხინჩლას გალაშქრება ქისტებზე“ და სხვა.

სამშობლოს სიყვარულის უსაზღვრო გრძნობა განსაკუთრებული სიღრმითა და სიძლიერითაა გამოხატული ლექსში „სამშობლო ხევსურისა“. ამ დიდ გრძნობას პოეტმა ისეთი ცოცხალი სული შთაბერა, ეროვნული ყოფის ისეთ დამახასიათებელ დეტალებში გაიაზრა, რომ ლექსმა გამოქვეყნებისთანავე საყოველთაო აღიარება პოვა მთელ საქართველოში. „სამშობლო ხევსურისა“ იმ დროს არსებულმა ყველა ქართულმა ჟურნალ-გაზეთმა გამოაქვეყნა. ლექსის პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ პოეტისა და მისი ნაწარმოების სახელი განუყოფლად დაუკავშირდა ერთმანეთს მკითხველის ცნობიერებაში. იმდროინდელ პრესაში ხშირად გვხვდებოდა ამგვარი გამოთქმები: „როგორც „სამშობლო ხევსურის“ ავტორი ამბობს“... „სამშობლო ხევსურის“ ავტორს დაუნერია ახალი ლექსი“... და სხვა. რ. ერისთავის ლექსმა სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართული პატრიოტული ლირიკის იმ ქმნილებათა შორის, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც ეროვნული გრძნობის

უნმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს: „სამშობლო ადამიანის სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია. უსამშობლო ადამიანი სულით ღატაკია და საცოდავი. სამშობლოს სიყვარულით მნიფდება და ყალიბდება ადამიანის სულიერი სამყარო, მისი გულწრფელობა და

სიყვარული სხვა ერებისადმი, ვისაც არ უყვარს თავისი თავი, ის ხომ ვერც სხვას შეიყვარებს... და ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო, ის როგორ იგრძნობს ცარიელ გულში სხვათა სამშობლოს სიყვარულს?! ამიტომ ბრძანა რაფიელ ერისთავმა: „სამშობლო - დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა..... როგორც უფალი, სამშობლოც, ერთია ქვეყანაზედა...“ (ილია II, 2017: სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქი, „სხვა საქართველო სად არის...“ წიგნი მეორე, გამომცემლობა „ქართული“, თბ.,)

ნაშრომის მიზანია რაფიელ ერისთავის შემოქმედებისა და ღვაწლის წარმოჩენა. მწერლის მხატვრული სტილის, მის შემოქმედებაში სახე-სიმბოლოების, ეროვნული თვითმყოფადობის კვლევა. ასევე მეცნიერული სიღრმით გამორჩეულ მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით ყურადღება გავამახახვილოთ და ვაჩვენოთ ის დიდი ეროვნული როლი, რომელსაც ლირიკოსი პოეტის სალიტერატურო შემოქმედება ასრულებს. სწორედაც, მწელის მისია, კაცობა, ჭეშმარიტი მამულიშვილობა სამშობლოსათვის უანგარო სამსახურსა და მისთვის თავგანწირვის უნარში გამოიხატება. პოეტისათვის სამშობლოსა და ღვთის სიყვარული იდენტური გრძნობებია, რადგან სამშობლო რ. ერისთავისათვის ტაძრად, ხოლო ყოველი ერისკაცი – სამსხვერპლო ზვარაკად მოიაზრება, ამიტომაც წააგავს იგი მონამეს.

კვლევის ობიექტია, როგორც პოეტის შემოქმედება, ასევე პირადი წერილებისა და სხვა მასალათა შესწავლა და კვლევა.

თემა აქტუალურია, რამდენად მისი შემოქმედების მოტივები გაჯერებულია ეროვნული თვითმყოფადობით. მისი თითოეული პნკარედი გაულენთილია მამულის უსაზღვრო სიყვარულით.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს მთელი რიგი საკითხები. კერძოდ, დღეს ჩვენს ქვეყანას უჭირს, ისე როგორც არასდროს. საგულისხმოა, მსგავსი პოეტების შემოქმედების განხილვა და გაანალიზება გამოიწვევს ეროვნული

იდეალების წინა პლანზე წამოწევას. რამეთუ პოეტი მკითხველისაგან მოითხოვს იმას, რასაც წლების განმავლობაში თვითონ გრძნობდა და განიცდიდა.

ბუნებრივია, მისი შემოქმედება არაერთი მეცნიერისა და მკვლევრის შესწავლის საგანი გამხდარა, თუმცა იმ მხრივ, რა მხრივაც ჩვენ გვაქვს კვლევა წარმოდგენილი, ვფიქრობთ, ამ ფორმით მისი პოეზია ნაკლებადაა შესწავლილი. შესაბამისად, აუცილებელია, მსგავსი საკითხებით სააზრობდეს ქართველი ერი.

ნაშრომში სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები და შეხედულებები კრიტიკულადაა განხილული, რის საფუძველზეც მიღებულია კონკრეტული დასკვნები, რომლებიც ემყარება თანამდეროვე მკვლევართა შეხედულებებს.

სამაგისტრო ნაშრომში დანვრილებითაა შესწავლილი და შეფასებული საკითხზე გამოქვეყნებული ყველა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია.

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში, შეძლებისდაგვარად, ეს და სხვა საკითხები ვაქციეთ მეცნიერულ კვლევის საგნად.

თავი I. „დედაენის“ საგალობელი რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში

ქართველ მწერალთა შორის რაფიელ ერისთავს ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მან თავისი შემოქმედებით უდიდესი სიტბო, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა საზოგადოებაში.

რაფიელ ერისთავის კალამს ეკუთვნის მრავალი ლექსი, პოემა, მოთხრობა, პიესა, თარგმანი, ამასთანავე იგი ავტორია ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ენათმეცნიერული, ლექსიკოლოგიური ნაშრომებისა. „რაფიელ ერისთავი თითქმის სამოცი წლის განმავლობაში ემსახურებოდა ქართულ მწერლობას. მართალია, რაფიელ ერისთავი მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის ისტორიაში არ წარმოგვიდგება როგორც მეთაური და მებაირახტრე მწერალი, მაგრამ „მეტად ნიჭიერი და კარგი მხარის გამწევი პოეტი იყო“ (თევზაძე, 962: 67).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, თავის საკვირაო ქადაგებაში ბრძანებს: „ხშირად გვიფიქრია, თუ რა არის ქართული იდეა, რა არის მთავარი აზრი ჩვენი ერის არსებობისა, რა არის ჩვენი უმთავრესი საუნჯე? წმინდა ილია მართალმა ეს შესანიშნავად გაიაზრა და გამოთქვა: „მამული, ენა, სარწმუნოება“. აი, რა არის ჩვენი უმთავრესი საუნჯე! ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ ყოველი ადამიანი რაღაცას აგროვებს, რაღაცას იუნჯებს. მაგრამ ვისთვის რა არის

საუნჯე, - ეს არის საკითხავი. ჩვენი დრო - XX-XXI საუკუნეები გამოირჩევა იმით, რომ კაცობრიობა იუნჯებს მატერიალურს, მიწიერ სიმდიდრეს. მაგრამ მიწიერი სიმდიდრე ადამიანს მხოლოდ სამარის კარამდე მიაცილებს და შემდეგ ამქვეყნიდან იგი უკვე განძარცვული გადის. ჩვენი ერის უდიდესი სულიერი საუნჯეა მართლმადიდებელი სარწმუნოება (გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ №33, 2010 წ).

განსაკუთრებულია პოეტის ეროვნულობა. როგორც მკვლევარი თევზაძე აღნიშნავდა: „რაფიელ ერისთავი დაუცხრომელი ენერგიით ემსახურებოდა იმ ეროვნულ საქმეს, რასაც მეთაურობდნენ დიდი ილია, აკაკი და ვაჟა ფშაველა. მიუხედავად იმისა, რომ რაფიელ ერისთავი თითქმის თანამედროვე იყო ქართველი რომანტიკოსებისა (ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი და სხვ.) და მისი პოეზიის პირველი პერიოდის ნიმუშები რომანტიკული პოეზიის ერთგვარ გავლენას განიცდიდა, თუ მთლიანად ავიღებთ მის შემოქმედებას, ვნახავთ, რომ იგი რეალიზმის გზაზე დგას და თავისი მხატვრული აზროვნების იდეალად მშრომელი ხალხის, განსაკუთრებით გლეხობის, ღუბჭირი ცხოვრების ასახვა გაუხდია“ (თევზაძე, 1962 : 66).

უნდა აღვნიშნოთ, რომ რაფიელ ერისთავის პოეზიაში ეროვნულ-პატრიოტული მოტივი მჭიდროდ უკავშირდება ენის სინმინდისთვის ბრძოლას.

უდავოა, რომ ქართული ენა უძველესი ენაა მსოფლიო ენათა შორის. დღეს მსოფლიოში დაახლოებით სამიათასამდე სამეტყველო ენაა, ხოლო სადამწერლობო კი თოთხმეტი. მათ შორის ერთი უძველესთაგანია ქართული ენა. ისტორიული წყაროების მიხედვით, ძველი ნელთაალრიცხვით მეორე ათასწლეულში, მეფე ფარნავაზმა შექმნა ქართული დამწერლობა და ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადა. მას შემდეგ ქართული ენისა და ერის ისტორია, კვლავ აგრძელებს არსებობას. ქართველი ერისათვის ენა, მისი სინმინდე და ღვთის მადლად მოიაზრება.

დედამიწაზე არცერთ ერს არ მიუძღვნია იმდენი ლექსი, ხატოვანი გამონათქვამი და თბილი სიტყვა საკუთარი ენისათვის, რამდენიც ქართველ ერს. საქართველო

ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ენასა და ანბანს ძეგლი დაუდგეს. სადაც მშობლიური ენა საოცარი, ზღაპრული, უტკბილესი და მართლაც ღვთაებრივი სიტყვით გამოითქმის. ამ სიტყვას დედაენა ჰქვია.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ქართული ენის სინწინდებზე და სიდიადებზე მხოლოდ ქართველი კლასიკოსები არ საუბრობდნენ. ნიკო მარი ქართულ ენას „მსოფლიო დონის“ ენად განიხილავდა და აცხადებდა: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას. ქართული ენა, ცოცხალი ენაა, ის მაღალმხატვრულად გამოსახავს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს ყოველ აზრს, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა“ (კეკელიძე 1980 : 167).

ერის თვითმყოფადობის, მეობის, დამოუკიდებლობის, ერთიანობის სიმბოლოდ ქცეული ქართული ენა დღენიადაც ქართველთა სადარაჯოზე იდგა. როგორც კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: „ქართული ენის სინწინდის დაცვა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსი“.

ქართული ენა საყურადღებოა და მნიშვნელოვანია, არა მარტო თავისი მხატვრობით, არამედ მისი ღრმა შინაარსით, რომელიც თითოეულ ჩვენგანს აკავშირებს უფალთან, ამას გვიდასტურებს X საუკუნის ლიტერატურული ძეგლი „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, სადაც ნათქვამია: „-დამარხულ არს ენად ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რადთა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენითა და ესე ენად მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან! „ქართული ენა - ეს ღრმეების: „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“ (კეკელიძე 1980 : 167).

იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ ჰიმნოგრაფიული ძეგლია. ჰიმნის ობიექტი ყოველთვის იყო ღმერთი, წმინდანი. ამ შემთხვევაში ქების ადრესატი არის ქართული ენა, რაც უჩვეულოა. ამ ძეგლის ძირი სახარებაში უნდა ვეძიოთ. ციტატის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: ქართული ენა დაცულია (დამარხულ არს) ქრისტეს მიერ მეორედ მოსვლამდე. ქართული ენა იმდენად

ფასდაუდებელი, შეუფასებელია, რომ ამ ენით უნდა განიკითხოს მეორედ მოსვლის დროს სოფელი, ანუ კაცობრიობა. მეორედ მოსვლის დროს მხილების ენა იქნება ქართული და ქრისტე ღმერთი ამ ენაზე განიკითხავს ქვეყანას.

და მართლაც, ქართული ენაში სიმბოლურად იგულისხმება არა უბრალოდ ენა, არამედ ერი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენა არა მარტო ლამაზი, მშვენიერი, არამედ სინონიმებით მდიდარი და მრავალფეროვანი ენაა. ენა, რომლითაც უსიტყვოდ, დაუბრკოლებლივ ნებისმიერი საგანი და მოვლენა გამოითქმის.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ საქართველოს ერთ-ერთი პატრიარქის კირიონ მეორის სიტყვები, რომლითაც მან ასე უქადაგა ქართველებს მშობლიური ენის შესახებ:

„დედა ენა არის უფლის კურთხევით ჩვენ წინაპართაგან აღმწებული უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი; დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენა ფრიად ძნელი.

17. 05. 2019წ. (<http://studinfo.edu.aris.ge/2015/05/20/ena-dedaa-eris-anu-deda-gavaucxovet/>)

გმირი წინაპრები მცირერიცხოვნობის მიუხედავად ფარხმალს არ ყრიდნენ და მედგრად, შეუპოვრად ებრძოდნენ მტრებს. მტრები, უპირველეს ყოვლისა, ეომებოდნენ ტანჯვაგამოვლილ ქართულ ენას და მის ამოძირკვას, განადგურებას ცდილობდნენ, თუმცა ამაოდ. ქართველი ხალხი ოდითგანვე, ყველაფრის მიუხედავად, მტკიცედ ინარჩუნებდა ქართულ ენას, რომელიც მის თვითყოფადობას განსაზღვრავდა.

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II, საკვირაო ქადაგებაში ბრძანებდა: „ჩვენი წინაპრები აგროვებდნენ სულიერ და ეროვნულ ფასეულობებს და ჩვენც უნდა გავაგრძელოთ ეს მამულიშვილური საქმე. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ უმდიდრესი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყანა ვართ. ნაკლებად თუ შეედრება სხვა ქვეყანა საქართველოს თავისი ისტორიით, დამწერლობით, უძველესი კულტურით.

უდიდესი მადლით დააჯილდოვა უფალმა ჩვენი ქვეყანა, და მოვალენი ვართ, რომ ეს კულტურა, ეს სულიერი და მატერიალური თუ მეცნიერული საუნჯე შევინარჩუნოთ და დავიცვათ.

ჩვენი ერის უდიდესი სულიერი საუნჯეა მართლმადიდებელი სარწმუნოება. ქართველ ადამიანს რომ არ ჰქონოდა რწმენა, არ ჰქონოდა ეკლესია და ქვეყანაში ეკლესიის ძალა რომ არ არსებულებოდა, - დღეს საქართველო არ იარსებებდა. ჩვენზე უფრო ძლიერი ქვეყნები ყოფილა და აღგვილა პირისაგან მიწისა. და ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ რას ნიშნავს ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოება! ეს არის უდიდესი საუნჯე და ძალიან სამწუხაროა, როცა იმდენად დაბნელებული აქვს ზოგიერთ ქართველს სულიერი თვალი, რომ ვერ ხედავს ამ ნამდვილ საუნჯეს.

რწმენა - ეს არის ისეთი საუნჯე, რომელსაც თვალის ჩინივით უნდა გაუფრთხილდეთ. ზოგიერთს ეს არ ესმის, მაგრამ უნდა გაიგოს! თუ ადამიანში ქართული სულია, თუ მასში ქართული სისხლი ჩქეფს და მას ქართველი წინაპრები ჰყავდა, იგი მოვალეა დაიცვას ჭეშმარიტი სარწმუნოება, - სარწმუნოება, რომელმაც გადაარჩინა საქართველო.

მეორე დიდი ძალა, დიდი საუნჯე - ეს არის ქართული ენა. ენა არის ის საშუალება, რითაც ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ესაუბრება უფალს, წარმოთქვამს ლოცვებს. ენა არის უდიდესი ძალა და ჩვენ მუდამ ვიცავდით და კვლავაც დავიცავთ მას. მრავალი უძველესი ხელნაწერი შექმნილია ქართულ ენაზე, მათმა ნაწილმა ქართულ ენაზე, მათმა ნაწილმა ჩვენამდეც მოაღწია (გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ , №33, 2010 წ).

ქართული ენა ჩვენი ინდივიდუალიზმის უმთავრესი ნიშანია. ენის დაკარგვა ტოლფასია ერის განადგურებისა და მიწასთან გასწორებისა. როგორც დიდი გრიგოლ ორბელიანი ბრძანებდა: „მისი ისტორია დაცულ არს ენით, რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!“.

ქართველი ერი სათუთად ეპყრობოდა, ინარჩუნებდა, იცავდა მრავალტანჯავამოვლილ ენას და იცავდა ისე, როგორც ჩვენი წინაპრები იცავდნენ საუკუნეების წინ. „ენა-ერის უკვდავებაა, ვინ მოსთვლის რამდენმა ომმა დაარბია

საქართველო, რამდენმა მტერმა აიღო მისი ციხეები, მაგრამ ვერსაიდან მიუღვა ერთ დიდ ციხე-სიმაგრეს - ქართულ ენასა... გადარჩა ეს პატარა ქვეყანა“ (ნატროშვილი 1969:15).

უამრავ წელს ითვლის ქართველი ერის ბრძოლა ქართული ენისთვის, იმიტომ, რომ განსხვავებულია, ფაქიზი და ლამაზია. შესაძლოა დღესაც მტრობდნენ მას, მაგრამ ამაოდ. მრავალჭირვარამგადანახადი ულამაზესი ქართული ენა ისევ მედგრად, შეურყევლად დგას. უმაღვე მახსენდება მუხრან მაჭავარიანის ერთ-ერთი ულამაზესი ლექსი „მრავალჭირვარამგადანახადი“, რომელსაც განსაკუთრებული ემოციით კითხულობს თითოეული ქართველი. და აი:

მრავალჭირვარამგადანახადი,

უნატიფესი ენა ქართული,

ყველაზე კარგად რომლის ლაზათი

შოთას ლექსშია გამოხატული;

ვინ იცის,

მტარვალს გადურჩა რამდენს,

ვინ იცის,

მტერი ჰყავდა რამდენი...

(მაჭავარიანი, 2007: 58).

დაე, მუხრან მაჭავარიანის თქმისა არ იყოს „კვლავ იძლიეროს ენამ ქართულმა...“

ქართული ენა ქართველი ერის დედაა, რომელმაც ჩაკრულო იმღერა და კოსმოსში გაგზავნა. ქართული ის ენაა, რომელსაც საპატიო ადგილი უჭირავს 14 დამწერლობათა შორის, ენა რომელმაც შეგვიქმნა უკვდავი ლიტერატურული ძეგლები: „დავითიანი“, „ვეფხისტყაოსანი“, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ და სხვები.

ენა დედაა ერისა... ეს სიტყვები ყოველი ქართველისათვის კარგად ნაცნობი და საამაყოა... საამაყოა, რამდენადაც ქართული ენის სიყვარულმა, მისი დაცვისთვის ბრძოლამ მოიყვანა ქართული სული, ქართული

თვითმყოფადობა დღევანდელ დღემდე... ქართული ენით გაერთიანებულმა ერმა შექმნა უკვდავი კულტურა და ხელოვნება ივერიისა. ქართული ენა ღვთის ენააო თამამად შეიძლება ითქვას... 17.05.2019 წ (<http://studinfo.edu.aris.ge/2015/05/20/ena-dedaa-eris-anu-deda-gavaucxovet/>).

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საქართველოში ძველი ღრვიდან მოყოლებული დედის კულტს განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. მართლაც, ქართულ ენაში ყველა მთავარი სიტყვის ფუძე ხომ დედაა ან დედაზე იწყება: დედაბოძი, დედაბუნება, გუთნის დედა, ადგილის დედა, დედამინა, დედააზრი, დედაენა.

აღსანიშნავია, რომ არაერთმა ქართველმა მწერალმა მიუძღვნა ქართულ ენას, დედაენას ლექსი, არაერთი ქართველი პოეტი ეფერება ენას. გამონაკლისი არც რაფიელ ერისთავია. თავის შემოქმედებაში, განსაკუთრებით საყურადღებოა ლექსი „დედა ენა“. ლექსში, რომელსაც „დედაენა“ ჰქვია, მგოსანი გვესაუბრება დედაენის სიყვარულზე და მკითხველს შთააგონებს, რომ ყოველი ქართველი დედაენის, მშობლიური ენის დასაცავად უნდა იღწვოდეს.

რაფიელ ერისთავი მკითხველს ამხნეებს და ცდილობს მას ენის სიყვარული შთააგონოს:

მიყვარს მე ენა ჩემი მშობლისა,

რომლითაც „ნანას“ მეტყოდა ისა,

აღერსს მაგონებს დედისას ტკბილსა,

ჩემი ტოლების მღერა-ჟღივილსა!...

ენით ვცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა,

მიყვარს სამშობლოს მე ტკბილი ენა!“ (ერისთავი, 1974:15).

პოეტი საყვედურობს თავისი დროის ქართველებს, რომელიც გადააგვარა ახალმა რეჟიმმა, იმ ქართველებს რომლებიც გაუბრუნდნენ თავისი ენის გამოყენებას:

–, ნუ გრცხვენის ძმაო, როცა გაქვს წყენა,

მშობელ ენაზედ მოთქმა, ცრემლთ დენა...

(იქვე,15).

რაფიელ ერისთავისთვის იმდენად მნიშვნელოვანია ენა, რომ იგი მის დაკარგვას აღარებს აკვნისა და საფლავის, ანუ ადამიანის სიცოცხლის საწყისისა და დასასრულის (მარადიული სამყოფელის) დაკარგვას:

აკვანს და საფლავს ნუ ჰკარგავ შენა,

თორემ დაგწყევლის შენ დედაენა!..

(იქვე,15).

იგი დედაენაში ხედავს სიცოცხლის მთავარ არსს, მისით არის ბედნიერი და ცოცხალი:

ენით ცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა

მიყვარს სამშობლოს მე ტბილი ენა!(იქვე,15).

ლექსი „დედაენა“ 1881 წელს გაზეთმა „ივერია“ გამოაქვეყნა, შემდეგ კი უამრავმა საბავშვო გამოცემამ და ჟურნალ-გაზეთმა დაბეჭდა. უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ამ ლექსის საყურადღებო სტრიქონები „ენით ცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა, მიყვარს სამშობლოს მე დედაენა“ ეპიგრაფად ჰქონდა წამძღვარებული სხვადასხვა პატრიოტულ წერილს.

კიდევ ერთხელ მივუბრუნდები უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია მეორის სიტყვებს, რომელიც ასე ბრძანებს: „ქართული ენა არის ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელი, ვითარცა

გონება და სიყვარული. მისი სათავე ისევე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამამთავრისა. მასშია მთელი საქართველო. გაზაფხულზე გაშლილი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლად-ამოსული მზის ცხოველსმყოფელი სხივივით საამო, ცისფერია მისი სამოსი, ზეცაა მისი სანყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი. სიტყვა მისი მჭრელია, ვითარცა დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია, როგორც სვეტი ცხოველი და ნაზი, ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნამი (ილია II, 2017: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, „სხვა საქართველო სად არის...“ წიგნი მეორე, გამომცემლობა „ქართული“, თბ.,).

სწორედ ამ „ღრმა“ და „ბრძენი“ ენით გვესაუბრება სამშობლოს სიყვარულით განმსჭვალული რაფიელ ერისთავი ლექსში „სამშობლო ხევსურისა“. რაფიელ ერისთავი ესიყვარულება, ეფერება ამ ლექსში საქართველოს და მისდამი გულწრფელ სიყვარულს გამოხატავს.

ლექსში ალალი, სულით წმინდა, სპეტაკი, სამშობლოს მოყვარული ხევსური გვიზიარებს სალკლდეებიანი სამშობლოს სიყვარულს. მან კარგად იცის, რომ არ არსებობს უფრო ლამაზი ქვეყნები, ვიდრე მისი „შავი კლდე“, თოვლიანი და ციხულიანი, მას მშობლიური კუთხე ურჩევნია, კუთხე რომლისთვისაც თავს გასწირავს. მისი სიყვარული სამშობლოსადმი იმდენად სპეტაკი და უანგაროა, რომ მას არანაირ სიმდიდრეზე არ გაცვლის:

„ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,

სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია,

არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია“.

(ერისთავი, 1974:16).

ამ ლექსში ჩანს ქართველი კაცის მტკიცე, ურყევი, სრულყოფილი ხასიათი, რომლითაც იგი იმდენად ამალღებულობს, რომ თავის სამშობლოს არ ცვლის სხვათა მიწიდან ამოზრდილ უკვდავების ხეზე და სხვა ქვეყნის სამოთხეზე:

„არ გავცლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,

არ გავცლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

(იქვე,16).

ლექსში „სამშობლო ხევსურისა“ რაფიელ ერისთავი, არა მარტო სამშობლოს უანგარო სიყვარულს უღვივებს ქართველ კაცს, არამედ პოეტი ფარულად მხედრდება იმათ წინააღმდეგ, ვინც სიმდიდრისა დიდებისათვის უარყვეს „დედის ძუძუი“ და სიხარბისთვის შეწირეს სულიერი სრულყოფილება.

სამშობლო დედის ძუძუი არ გაიცივლების სხვაზედა,

ორივ ტკბილი ძმობილო, მირჩვენის ორსავ თვალზედა,

როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

(იქვე,16).

ხევსურს თავისი სამშობლო გულწრფელად, უანგაროდ, ყველანაირი დიდებისა და ფუფუნების გარეშე უყვარს. სწორედ ასეთ უანგარო სიყვარულს ქადაგებს პოეტიც:

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,

სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,

სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, - ჩემი სამშობლო ის არი.

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,

(იქვე,16).

პოეტისთვის, როგორც ხევსურისთვის სამშობლო უძვირფასესია. ის მზადაა მისთვის ყველაფერი გაილოს:

მე მირჩვენია შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი,

ორბი რომ ბუდობს, ჩაჩქარით გადმოჰქუხს ბროლინწყლიანი,

ჯიხვი და არჩვი მეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,

არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

(იქვე,16)

მგოსანს „შავი კლდე“ და „თოვლიან-ყინულიანი“ მთები ურჩევნია სხვათა ქვეყნის სამოთხეს:

ბარად რომ ვიყო ლაღადა, სული მთისაკენ იხარის,

სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იქითკენ იხარის,

იქ მიჯობს შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლეც იმწარის!..

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,

არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

(იქვე,16).

უდიდესი პათოსითაა განმსჭვალული პოეტის სულიერი მდგომარეობა, მისთვის სამშობლო წმინდა, განუმეორებელი ადგილია. შეუფასებელი საგანძურია:

ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,

სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია,

არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,

არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

(იქვე,16).

რაფიელ ერისთავს საამშობლოს სალი კლდეები ურჩევნია დიდებულად ცხოვრებას. ის ძალიან მოკრძალებულია და არ ნატრობს რაიმე მატერიალურს, ძვირფასს, რადგან მისთვის სამშობლოზე წინ არაფერია.

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,

ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩვენის ორსავ თვალზედა,

როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,

არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

(იქვე,16).

მწერალი სამშობლოს მშობელ დედასთან აიგივებს. მისთვის საქართველო ისეთივე თბილია, ისეთივე ტკბილია, როგორც მშობელი დედა. როგორც უფალია ერთი ამ ქვეყნად ასევეა სამშობლოც.

აღსანიშნავია, რომ 1881 წელს გამოქვეყნდა რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“. ლექსში გადმოცემულია უდიდესი პატრიოტიზმის გრძნობა. ეს ლექსი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. იგი ზეპირად იცოდა თითქმის ყველა ქართველმა, წერა-კითხვის მცოდნემ თუ არამცოდნემ.

„ ა.ხახანაშვილმა ეს ლექსი შოტლანდიელი პოეტის ბიერნსონის ლექსს შეადარა, მაგრამ ეს არ არის სწორი შედარება. „რაფიელ ერისთავს რად სჭირდებოდა შოტლანდიის მკვდარი მაგალითები, როდესაც თვით ხევსურეთის მუხლზე არის დაბადებულ-აღზრდილი და დაბერებული, სადაც ჯვაროსანთა სიმტკიცით ფიცულობდნენ და ადგილის დედას ეწირებოდნენ. მისაბაძი მაგალითები და გამოთქმის სიმტკიცე აქ უხვად იყო. თანაც, მოყვანილი ადგილებით, ის კი არ მტკიცდება, რაც ა.ხახანაშვილს უნდოდა, არამედ სრულიად საწინააღმდეგო“ (კოტეტიშვილი, 1959 :511).

ლექსს „სამშობლო ხევსურისა“ მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქართული პატრიოტული პოეზიის საგანძურში და ჩვენი ლიტერატურის ისტორიის ფურცლებს სამუდამოდ ამშვენებს.

აღსანიშნავია, რომ „სამშობლო ხევსურისა“ კეთილშობილური პატრიოტიზმის ქადაგების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობით წარმოგვიდგება“ (მახარაძე,1978:70).

ამრიგად, ჩვენს ლიტერატურაში „სამშობლო ხევსურისა,“ ეს და სხვა ლექსები, სამუდამოდ დარჩება მკითხველის ცნობიერებაში, როგორც მწერლობის უდიდესი მწვერვალი.

თავი II. ეროვნული იდეალები რაფიელ ერისთავის პოეზიაში (ლექსები, პოემები)

პირველად, რაფიელ ერისთავის შემოქმედებაზე საყურადღებო ცნობები მოგვანოდა ილია ჭავჭავაძემ თავის ცნობილ წერილში. ილია თამამად გვეუბნება, რომ ბატონყმობის დროს, როცა ამ მზაკვრული, ვერაგი, დამლუპავი ურთიერთობის წინააღმდეგ ხმა ვერავინ ამოიღო, „კაცთმოყვარე გულმა პოეტისამ იგრძნო უსამართლობა მისი და ყმა-დედა აჩვენა მსაჯულთან: „სხვა რად ჰბატონობს ჩემსა ნაშობსაო, შვილი ჩემია და ბატონმა წამართვა, მიბრძანე: „ვისი უპყრია ძალიო“?

ილია ჭავჭავაძე სწორედ ასკვნის: „რაფიელმა პირველმა დაჰძრა ენა ადამიანის გათელილ ღირსებისთვის და ჩამოავდო სიტყვა ადამიანურ დატყვევნილ უფლების აღსახსნელად და აღსადგენად“ (ჭავჭავაძე, 1953: 223-224).

ასევე შემდგომშიც ხაზგასმით საუბრობს რაფიელ ერისთავის შემოქმედების მნიშვნელობასა და როლზე ქართულ ცნობიერებაში.

რაფიელისადმი მიძღვნილ ნაღიმზე ილია ამბობდა: „ჩვენს სახელოვან მოხუც-პოეტს შესანიშნავი ალაგი უჭირავს ქართულ პოეზიაში. მისი ლექსები აღბეჭდილია ხალხური გრძნობით. ის ღრმად შეეხო ჩვენი მუშა ხალხის ცხოვრებას და არის მომღერალი მისი გულნადებისა. იმან შექმნა თავისი საკუთარი სკოლა ხალხური პოეზიისა. მისი მიმდევარნი არიან ძმები რაზიკაშვილები“ (მახარაძე, 1978:50)

რაც შეეხება ვაჟა ფშაველს მოსაზრებას რაფიელ ერისთავის შემოქმედებისადმი. იგი ჩვეულებისამებრ, წრფელი გულით გვეუბნება, რომ მან გარკვეულ პერიოდში განიცადა რაფიელის პოეზიის გავლენა. ქართული ლიტერატურის მგოსანმა ასევე აღნიშნა, რომ მწერალზე ასეთი გავლენა არ არის სათაკილო. ვაჟა გვეუბნება: „ჩემზე უნდა მოგახსენოთ, ყველაფერს, რაც კარგი და ხელოვნური რამ დანერვილა, ზემოქმედება, ძალა ჰქონია, ალტაცებაში მოუყვანივარ, მომწონებია. რა თქმა უნდა, რაფიელის ლექსებმა, როგორც საერო კილოთი

ნაწერმა და ისიც ჩვენებურ მთის კილოთი, სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული, სხვაგვარად შესძრა იგი. ამასთანავე ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ, თუმც მაშინ შეგირდი გახლდით, მაგრამ ხალხური, ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდით; ეს კილო მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირა; თუმც მაშინაც ლექსებს ვწერდი, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ვჯღაბნიდი, მაგრამ ამ საერო კილოზე წერას ვერა ვბედავდი, რადგან მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული, არამედ სხვა კილო მეფობდა. ჯერ დღესაც სჭირს ამ ფშაურ კილოზე ნაწერის ლექსების საზოგადოებისგან ყურის დაგდება და მაშინ ხომ უფრო საძნელო იქნებოდა. ჩვენმა სახელოვანმა მსცოვანმა მგოსანმა რაკი საერო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და უურნალ „ივერიაში“ გზა დაუთმო, მეც გაბედულება მომემატა“ (ფშაველა,1964:180).

იაკობ გოგებაშვილი დიდსულოვნად ატვასებდა რაფიელ ერისთავის შემოქმედებას, თვლიდა მას ქართველი ხალხის ცხოვრებაში კარგად ჩახედულ მოქალაქედ და ნიჭიერ მწერლად. იგი რაფიელ ერისთავის შემოქმედებას მრავალჯერ ეხება ლიტერატურულ-კრიტიკულ და პუბლიცისტურ წერილებში. მან ვრცელი წერილიც კი მიუძღვნა რაფიელ ერისთავის მიერ გალექსილ ი. კრილოვისა და საბა ორბელიანის იგავ-არაკების მეორე გამოცემას. მისი წერილი „იგავ-არაკნი, გალექსილნი რაფიელ ერისთავისაგან“ 1881 წლის მიწურულს უურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნდა“ (გოგებაშვილი, 1952:283).

წერილში იაკობ გოგებაშვილი უდიდეს ყურადღებას უთმობს რაფიელის საერთო დახასიათებას. მისივე თქმით, რაფიელმა ქართულ ლიტერატურაში წმინდა ადგილი დაიკავა, ისევე როგორც სხვა დიადმა მწერლებმა. რაფიელმა კარგა ხანია დაიმკვიდრა სახელი ჩვენს მწერლობაში და რაც მეტი დრო გადის მით ურო იმსახურებს ის ქართველი ხალხის გულწრფელ სიყვარულს.

იგი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საქართველოში „არც ერთი ხეირიანი ლიტერატურული გამოცემა“ არ არსებობს, რომელშიც რაფიელ ერისთავი არ

თანამშრომლობდეს. გოგებაშვილი მკითველს შეახსენებს რაფიელის დაუღალავ, ნაყოფიერ მოღვაწეობას ქართულ თეატრში.

აღსანიშნავია, რომ იაკობ გოგებაშვილი ამ წერილში ხაზგასმით საუბრობს რ. ერისთავის მხატვრული შემოქმედების ხალხურობაზე. მისი აზრით, რაფიელის შემოქმედებაში უპირველესი, უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ეროვნულ მოტივებს. ეს ფაქტი კი განპირობებულია იმით, რომ პოეტი მშობლიური ენის დარღვა და მწუხარებას კარგად იცნობს. იგი წერს: „არა გვგონია მეოთხე-მეხუთე პირი მოიძებნებოდეს ჩვენს ლიტერატურაში, რომელსაც ასე შეთვისებული ქონდეს ჩვენი ერის ცხოვრება. რაფიელი ჩვენს ხალს წიგნებიდან და შორიდან არ იცნობს. მას, როგორც ეტყობა, თვითონ უცხოვრია მის შორის, თითქმის ყოველი კუთხე საქართველოსი გაუცვნია საკუთარის თვალთ და ყურით, უნახავს ხალხი ჭირშიაც, ლხინშიაც, ბედნიერ დღესაც და სადა დროსაც, შეთვისებულა მასთან გულის და გონების მრავალის ძაფებითა, და უყვარს ხალხი ისეთი, როგორიც არის, მის ღირსებით და ნაკლულოვანებით; უყვარს არა თეორიულის სიყვარულით, რომელიც ხშირად ზენარივით ეფარება რეალურს სიძულვილს ხალხისასა არამედ ნამდვილის, ჭეშმარიტის გრძნობით“ (გოგებაშვილი, 1952:283).

იაკობ გოგებაშვილი, უპირველეს ყოვლისა, რაფიელ ერისთავში აფასებს მის თავმდაბლობას, სისადავეს, უშუალობას. სწორედ ამ თვისებებითაა განპირობებული მისი უკიდევანო, უსაზღვრო სიყვარული ქართველი ხალხისადმი. მას მოსწონს, რომ რაფიელი საქართველოს ყველა კუთხეს კარგად იცნობს და ჭირსა თუ ლხინში ქართველი ხალხის გვერდით დგას. არა მარტო მწერლის ან რომელიმე საზოგადო მოღვაწის, არამედ ყველა ქართველის, თითოეული ჩვენგანის უპირველესი მისია სწორედ ქვეყანაზე ზრუნვა და ქართველი ხალხის ფიქრთა შეცნობაა, სადაც ზოგჯერ უდიდესი ტკივილი, მწუხარება, ზოგჯერ კი უდიდესი სიხარული იმალება...

„რ. ერისთავის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მრავალმხრივია. იგი იყო პოეტი, დრამატურგი, ლექსიკოლოგი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი მოთხრობა, ლექსი, იგავ-არაკი, თარგმანი (პუშკინის,

ლერმონტოვის, კრილოვის, ბერანჯეს და მიცკევიჩის ლექსებისა). დიდი ამაგი დასდო რ. ერისთავმა ქართულ კულტურას „კავკაზში“ მოღვაწეობის წლებში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსულ - ქართული ლიტერატურული ურთიერთობის თვალსაზრისით.

რაფიელ ერისთავს ყველაზე მეტად უყვარდა თავისი საქმე. მას კარგად ჰქონდა გათავისებული თუ რა სურდა და რა უნდა გაეკეთებინა იმისთვის, რომ თავის სფეროში წარმატებული ყოფილიყო.

„სამსახურებრივ მოვალეობათა ერთგულად შესრულებისთვის რაფიელ ერისთავი დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედალით. ხანგრძლივ სამსახურებრივ მუშაობასთან ერთად, რაფიელ ერისთავი დაუცხრომლად ემსახურებოდა ქართულ ლიტერატურას. იგი სამწერლო ასპარეზზე ორმოციან წლებში გამოვიდა. რაფიელ ერისთავის პირველი ლექსები 1852 წელს უურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა. მისი შემოქმედების პირველი ნიმუშები რომანტიკოსების ერთგვარ გავლენას განიცდიდა, მაგრამ თავისი შემოქმედებით „რაფიელი ეკუთვნის მესამოცე წლების მოღვაწეთა გუნდს“ (აკაკი), (თევზაძე 1962:67).

რაფიელ ერისთავი წლების განმავლობაში ქართული მწერლობის სადარაჯოზე იდგა. იგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ეწეოდა, როგორც დიდ საზოგადოებრივ, ასევე ლიტერატურულ საქმიანობას.

„მართალია, რაფიელ ერისთავის შემოქმედება, განსხვავებით სამოციანელებისგან, საბრძოლო იდეებით არ აიარალებდა მასებს მჩაგვრელთა წინააღმდეგ, არ მოუწოდებდა ხალხს ძველი, დრომოჭმული ცხოვრების ნგრევისა და უკეთესი მომავლის შექმნისაკენ, მის მიერ დახატული ადამიანები უფრო პასიურები არიან და მოთმინებით იტანენ თავიანთ დუხჭირ ცხოვრებას, მაგრამ მათ მაინც დიდი მხატვრული და შემეცნებითი ღირებულება აქვთ მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების გასათვალისწინებლად. რაფიელ ერისთავს აქვს პატრიოტული ხასიათის ნაწარმოებები, რომელთაც მიუხედავად მეტ-ნაკლები

მხატვრული ღირებულებისა (პოემა „ასპინძის ომი“), გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის პატრიოტული გრძნობების გაღვივების საქმეში“ (ლექსები „სამშობლო ხევსურისა“ , „დედა ენა“, „ნეტა რას სტირი დედაო“, „კაცი ის არის“ და სხვა მრავალი (თევზაძე, 1962:67).

რაფიელ ერისთავი უყვარდათ როგორც პოეტი, მაგრამ უპირველეს ყოვლისა იგი უყვარდათ, როგორც პიროვნება. მასში ყველა კარგი თვისება იყო ერთად თავმოყრილი.

რაფიელი განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა თანამედროვეთა შორის. საზოგადო საქმისათვის უანგაროდ თავდადებული მოღვაწე, პირად ყოფაში სადა, თავმდაბალი და გულისხმიერი მწერლი ყველას უყვარდა. იგი ყველასათვის ტკბილი რაფიელი იყო „ლხინსა და წვეულებებში რაფიელი საყოველთაოდ აღიარებულ საზოგადო მოღვაწედ თამამად ითვლებოდა. იგი არაერთხელ ყოფილა ამგვარ როლში ილია ჭავჭავაძის მიერ მოწყობილ დიდ წვეულებებზე, სადაც ქართული კულტურის საჭირობოტო საკითხები წყდებოდა“ (მახარაძე, 1978:33-34).

მწერლის მოღვაწეობის ასეთი მრავალფეროვნება ჩვენი მაშინდელი საზოგადოებრივი ყოფით იყო განპირობებული. სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებდა აკაკი წერეთელი, როცა შენიშნავდა: „რაფიელი ეკუთვნის მესამოცე წლების მოღვაწეთა გუნდს, ეს დრო ჩვენში დიდი მარტოხელობის დრო იყო და რა საოცარი, შესანიშნავიც იყვეს მარტოხელა მუშა, მისი ნაშრომი მთას ვერ წარმოგვიდგენს და მისი ნაღვანი-ზღვას, მაგრამ თუ ამას ათასგვარ წერილმან ნასაქმარს ერთმანეთს შევეხორცებთ, მაშინ კი მთაც გამოვა და ზღვაც. სწორედ ამ თვალთ უნდა ვუყურებდეთ ზოგიერთ მესამოცე წლების მოღვაწეებს და მათ რიცხვში რაფიელ ერისთავსაც“ (ბარამიძე, 1974:234-235).

სამოციანელთა მოღვაწეობამ ბევრი კარგი რამ მისცა რ. ერისთავის პოეტურ ფანტაზიას, მან უფრო მეტად გაათავართოვა თავისი თემატიკა და გამოიმუშავა წერის არაორდინალური მანერა. რ. ერისთავის შემოქმედებამ,

განსაკუთრებით კი მისმა ეროვნულ-პატრიოტულმა ლექსებმა, ქართველი ხალხის გულწრფელი სიყვარული და აღიარება დაიმსახურა.

ჩვენი მწერალი საკმაოდ პატარა იყო, როცა სამშობლოს სიყვარული შეიმეცნა, მისი ჭირ-ვარამი გაიზიარა და დაინცო ზრუნვა სამშობლოზე. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჭაბუკმა აქტიურად ჩაება ეროვნულ ცხოვრებაში. რაც კარგად ჩანს მარი ბროსესთან მიწერილ წერილებში, ამასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „რ. ერისთავი გიმნაზიის დამთავრებისთანავე ჩაება საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა ქართველოლოგ აკადემიკოს მარი ბროსესთან, ჯერ კიდევ მწერლის სიჭაბუკის წლებში, ქართული კულტურის სიყვარულით იყო შთაგონებული. მარი ბროსესა და რ. ერისთავის მიმონერა მეტად საინტერესოა XIX საუკუნის 50-იანი წლების საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საქართველოს კულტურული ვითარების შესწავლის თვალსაზრისით“ (ბარამიძე, 1974:235).

რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში ვხვდებით: ლექსებს, მოთხრობებს, ისტორიულ პოემებს, პიესებს და თარგმანებს, რომლებიც დღესაც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და არ დაუკარგავთ მხატვრული ღირებულება. პოეტის ლექსები განმსჭვალულია უდიდესი ეროვნული სულისკვეთებით, რომელიც ჩვენს მწერლობაში ჯერ კიდევ სამოციანელებმა დაამკვიდრეს. მათი მიზანი ხომ ქართველი ხალხის დამოუკიდებლობა, თვითმყოფადობა და ენის სინმინდისთვის ბრძოლაა. სამოციანელთა გზას აგრძელებს სწორედ რაფიელ ერისთავიც.

რაფიელ ერისთავის შემოქმედებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეროვნული თავისუფლების მოტივია. ეს მოტივი მის შემოქმედებაში თავს იჩენს სამწერლობო ასპარეზზე გამოჩენის პირველივე დღეებიდან. ამ მხრივ განსაკუთრებულია ლექსი „იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო“, რომელიც რაფიელ ერისთავმა 1853 წელს დაწერა. „იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო“ სულშიჩამწვდომი ლექსია, იგი მგოსანმა ახალდაბადებულ ქართველ ბავშვებს მიუძღვნა. ბავშვებს „რომლებსაც საუკეთესო, ბედნიერ, წარმატებულ მომავალს უსურვებს და ამ ლექსით სამშობლოსთვის თავგანწირვას ასწავლის, ახალგაზრდებს

მოუნოდებს გმირული საქციელებისკენ. „მგოსანი გულით უნატრის ჯერ კიდევ ძუძუთა ბავშვს, რომ იგი სახელოვან წინაპრებს დაემსგავსოს (მახარაძე,1978:64).

„ქართველს ემსგავსე დიდებით, შენს წინაპარსაო,

რომ თრთოდეს და ეშინოდეს შენს მტერსაო,

(მახარაძე,1978 : 64).

მომავლის იმედით გამსჭვალული პოეტი, ჩვილ ბავშვს გმირულ, ვაჟკაცურ მომავალს უწინასწარმეტყველებს. პოეტის თქმით, ისეთი თაობა გაგვეზრდება, ვინც მტერს თავის ვაჟკაცობასა და ძალას უჩვენებს. მათზე მტერიც კი იტყვის გმირიანო:

გაიზრდები და მოითხოვ თოფსა და ხმალსაო,

მტერს უჩვენებ ვაჟკაცობას და შენსა ძალსაო:

ყველაც იტყვის: „დახე გმირსა, მტერს შეანანაო!“

იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

(მახარაძე, 1978 : 65).

სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულით შთაგონებული პოეტი, ჩვენი ქვეყნის მეხოტბე, არ ივინყებს ქართველთა გმირულ საქციელს, მათ თავგანწირვას ქვეყნისადმი. პოეტი ცდილობს შეგვახსენოს ის გმირული, ღირსეული, თავდადებული ეპოქა, რომელიც ნამდვილად ღირსეულად განვლეს ქართველებმა. და აი, ლექსი: „რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო?“, რომელშიც ნათლად, მკაფიოდ ჩანს ჩვენი ქვეყნის მამა-პაპათა ბრძოლა და თავგანწირვა:

რას ერჩი მაგ ბიჭს თათარო!_

ხომ ჰხედავ, დაკოდილია?

მამულისათვის იბრძოდა,

რადგან მამულის შვილია.

(ერისთავი, 1974 : 56).

სამშობლოს დასაცავად ბრძოლის ველზე გასული მეომარი თათარს მოუწოდებს, რომ მისი მოძმე მამულიშვილი, რომელიც დაჭრილია გაათავისუფლოს:

რაზე ატყავებ, წყეულო?_

აგერა ვყევარ ძმობილი!..

დასხლტა ისარი ფრთიანი

გაგორდა თათრის შობილი!

(იქვე, 56).

ქვეყნის სადარაჯოზე მდგომი მეომარი უდიდესმა ტკივილმა და მწუხარებამ მოიცვა, მაშინ როდესაც დაინახა სასოწარკვეთილი ქართველი მანდილოსანი, რომელსაც სტანჯავდნენ, სასტიკად ეპყრობოდნენ და სარწმუნოების შეცვლას აძალბებდნენ:

შენ რაღას ერჩი მაგ ქალსა,

რაზედ აწვალე შანთითა...

სჯულს ხომ ვერ შეაცვლევინებ,

თუ გინდ დამდუღრო ნავთითა...

რაზედა სტანჯავ, წყეულო?_

აგერა ვყევარ ძმობილი!

იჭეჯა ზეცით დაეცა

თათარი პირდამხობილი!..

(იქვე, 56).

დაუმარცხებელ გმირს ტკივა იარა, მოუშუშებელი ტკივილი სულისა. დაუცველ, უსუსურ ბავშვთა ტარგედიანა მისი ტკივილი, რომელთა სისხლით გაისვარეს ხელები ვერაგმა, დაუნდობელმა, უგულო თურქ-სელჩუკებმა:

შენ რაღას ჰკუნავ, თათარო,

ბაღლებსა უსუსურებსა?

ნეტა ვიცოდე, მაგათს სისხლს
მაგრე რა მოგანყურებსა?!.

ხელი შეაღე, წყეულო!..
რადა ხარ დაუნდობელი?...
_ დასხლდა ისარი _ და წანმყდა
უსჯულო შეუნდობელი!..
(ერისთავი,1974:57).

მტკიცედ იდგნენ ქვეყნის სადარაჯოზე ქართველები. ისინი სარწმუნოების დამცველნი, ურყევად იდგნენ იქ სადაც მოითხოვდა მამული. ისინი განსაცდელის მიუხედავად, მტერს არ ნებდებოდნენ:

აგრე იბრძოდნენ ქართველნი
მამულისათვის, სჯულისთვის,
ენამებოდნენ ქრისტესთვის,
თავისუფლების გულისთვის!..
(იქვე,57).

საქართველოს დასაცავად ბრძოლის ველზე გასული გმირი მეომრები ქართველი ხალხის ღრმა სიყვარულით არიან შთაგონებულნი, ისინი უკიდურესი გაჭირვების დროსაც არ ეცემიან სულიერად.

ამ ლექსს რაფიელ ერისთავმა ეროვნული სული შთაბერა, ღრმად აამეტყველა საქართველოს გულისთქმა, ჩვენი ქვეყნის გულისნადები, მისი დარდი, ტკივილი, მწუხარება.

ეროვნულ-პარიოტული თვალსაზრისით საყურადღებოა ლექსი „ნეტა რას სტირი დედილო“, სადაც ომში წასული ახალგაზრდა ასე მიმართავს დედას:

-„ნეტა რას სტირი დედილო?რას სტირი ძუძუს ჭირიმე,
ჯარს იძახიან დედილო, სად არის ჩემი ხირიმი?“

-„ასი მკრან გულში მირჩვენის, მტირალი ქალის ცქერასა“-ო

(ერისთავი, 1974 : 54).

ისე აუღელვებლად ამბობს „ვიღაც ბიჭი“, თითქოს საომრად კი არა, ყანის მოსარწყავად მიდიოდეს. აი, როგორ წერილს სწერს სახლში მყოფ დედას ბრძოლის ველიდან:

-„ნეტა რას სტირი დედილო, რა დროს გლოვაა შვილისა,

გულში მკრეს, ორგან გახვრიტეს, ჩემი პერანგი შვილისა“.

(ერისთავი, 1974 : 55).

და ასე ამშვიდებს: „ჯერ ვერ წამოვალ შინათკე, მე აქ ვიგერებ ყვავ-ყორანს, თვალი მიჭირავს იმათკენ-ო“...

გმირობა, ვაჟკაცობა მის შემოქმედებაში ისე წარმოდგენილი, როგორც ყოველდღიური, ჩვეულებრივი საქციელი:

-„რას მირბი ქალავ, სად მირბი,

როგორც დამფრთხალი შველია,

საით იჩქარი დობილო,

მოდის, მომკიდე ხელია.

დაკოდილი ვარ მძიმედა,

ჩემი ადგომა ძნელია,

რალასა ჰშიშობ, უსჯულო

დაფთხვა და შემოგველიაო...

(კოტეტიშვილი, 1959 : 518).

აღსანიშნავია, რომ იმდროინდელ ახალგაზრდებს სამშობლოს დასაცავად ომში წასვლა არ მიაჩნდათ რაიმე განსაკუთრებულ მოვლენად. ისინი თვლიდნენ, რომ მათი უპირველესი მოვალეობა, სწორედ ქვეყნისთვის თავგანწირვა იყო.

აი, თუნდაც შვილის „მოკითხვა“ დედას ბრძოლის ველიდან:

„ომი გადაგვხდა სამჯერა,

სამჯერვე გავიმარჯვევით-...

„ჯერ ვერ წამოვალ შინათკე,

ნუ მეღი მოკლენ ხანებში“

(იქვე, 518).

ლექსის ეს ტაეპი ნათელყოფს იმას, რომ ისინი ადვილად არ ნებდებოდნენ მტერს და უამრავი გამარჯვების მიუხედავად, ბრძოლის ველზე რჩებოდნენ და გმირულად ეგებებოდნენ მრავალრიცხოვან მტერს.

რაფიელ ერისთავის ლექსთა უმეტესობა არის ეროვნული გრძნობის მარადიული საგალობელი და იგი თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც უკვდავი მასალა.

და მართლაც, „რა დიდი ღირსებისაც არ უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოები, თუ მას ეროვნულობის ნიშანი არ აზის, იგი ჰკარგავს თავის დანიშნულებას, მაგრამ მართო შინაარსობლივი მხარე და იდეები არ წარმოადგენენ მხატვრული შემოქმედების ეროვნულობის ერთადერთ ნიშანს. სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოების შექმნისათვის საჭიროა გამოხატვის შესაფერი ფორმის მოძებნა. თუ პოეტმა თავისი ნააზრევი შემოქმედებით ქურაში არ გააღწო, ემოციებად, სახეებად არ გარდაქმნა, ნაწარმოები დაკარგავს მკითხველზე ზემოქმედების ძალას, დაშორდება ხელოვნებას“ (ბარამიძე, 1974 : 255)

რ. ერისთავის ლექსები უბრალოდ, მაგრამ ჭეშმარიტი მხატვრული გემოვნებითაა დანერგილი. ლექსისათვის რაფიელი ყოველთვის მარტივ ხალხურ

სიტყვებს არჩევდა, გაურბოდა დახლართულ და შელამაზებულ ფრაზებს, მისი ენა ეყრდნობა ხალხურ საწყისებს. ეს გარემოება უადვილებდა პოეტს დაეხატა მშობლიური ბუნების მომხიბლავი სურათები. განსაკუთრებულ მონონებს იმსახურებს დიდებული კავკასიონის მრისხანე სილამაზის აღწერა:

უმზირეთ! კავკასის მთანი
ცის კამარასა წვდებიან,
ყინვარის ჯავშნით მოსილნი,
ბარს დანთქმას ემუქრებიან
(“კავკასიონი”)
ან კავკასიონის კლდე-ფიქალს
ვეშაპნი გადმოსწოლიან,
მთა – მთასა, სალი – სალს აწევს
ხევი წყლებს ჩამოსძლოლიან!.....
(“სამი სურათი”)

24.03.2019 წ. (<http://www.bu.org.ge/x1200?page=4&tab=5>).

და მაინც, რაღაც განსაკუთრებულია, სხვანაირია ქართველი კაცის სიტბო და სიყვარული ბუნებისადმი. ბუმბერაზ, გენიოს ვაჟა-ფშაველადან მოყოლებული რიგით ადამიანზე დამთავრებული, ბუნების სიყვარულს ქადაგებს. ქართველ კაცს სხვა ეროვნების ხალხთან შედარებით უფრო მეტად უყვარს: ხე, ქვა, კლდე, მდინარე და რაც მთავარია, „მკაცრი კავკასიონი“. ბუნების ასეთ გულწრფელ და უანგარო სიყვარულს ეროვნულობის ნიშანი თან დასდევს. სწორედ ბუნების სიყვარულითაა შთაგონებული ჩვენს პოეტში ეროვნულობა, სამშობლოსადმი სიყვარული, რაც მკაფიოდ ჩანს ლექსში „კავკასიონი“.

რაფიელ ერისთავი, როგორც უდიდესი პატრიოტი და სამშობლოს მოყვარული ულამაზეს ლექსებს უძღვნიდა სამშობლოს. მისთვის სამშობლო ყველაზე და ყველაფერზე წინ იდგა, მშობელ დედაზეც კი. იგი ძალიან მორწმუნე, ღვთის მოყვარული კაცი გახლდათ. თავის შემოქმედებაში ნათლად ჩანს განსაკუთრებული დამოკიდებულება უფლისადმი. რაფიელ ერისთავის პოეზიაში

გვხდება ისეთი ლექსები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ და მათი წაკითხვა უემოციოდ შეუძლებელია. ასეთია ლექსები: „ღმერთო მაშორე“ და „ჩემი ლოცვა“.

ლექსში „ღმერთო მაშორე“ გადმოცემულია პოეტის თხოვნა ღვთისადმი, რომ შეისმინოს მისი ვედრება და გაათავისუფლოს ყოველგვარი ბოროტისა და ფარისევლისაგან:

მოვედ, უფალო, ეკლესიაში,
ცრემლს ვღვრი შენდამი მეტანიაში,
ისმინე ჩემი ვედრება სწორე:
დამხსენ ბოროტსა და ფარისეველს_
ღმერთო, მაშორე, ღმერთო, მაშორე!
(ერისთავი, 1958:76)

რაფიელ ერისთავი ასევე უფალს შესთხოვს მისცეს დიდი ნებისყოფა, უნარი იმისა, რომ უფრო მეტი ცოდნა მიიღოს, ვინაიდან განათლებული ადამიანის და საერთოდ განათლებული ერის მართვა, მით უფრო დამარცხება ძალიან ძნელია:

სწავლაში მომეც მეხსიერება,
რომ შევიძინო მეცნიერება,
თორემ მარტყია სიბრიყვის ყორე...
უნიჭო ოსტატს, ბერძნულს, ლათინურს_
ღმერთო, მაშორე, ღმერთო, მაშორე!
(ერისთავი, 1958:76).

ლექსის შემდეგ მონაკვეთში ავტორი ძირითადად სიკეთესა და მშვიდობას გვიჩვენებს. მისივე თქმით, მას სძაგს ომი და სისხლისღვრა, სურს მშვიდი ცხოვრება და უფაღს შესთხოვს ააშოროს ყოველგვარი მზაკვრობა, ბოროტება.

ბედნიერება მოძმისთვის არ მშურს,
ომი არ მიყვარს, სისხლი არა მწყურს,
მიყვარს სიცოცხლე, მშვიდი და მღორე...
ხმალსა, ზარბაზანს, თოფს და დინამიტს_
ღმერთო, მაშორე, ღმერთო, მაშორე!

ფული არა მაქვს, ვინ მომაქვავა?
ამდენმა ვალმა სულ გამათავა
სესხზედ, თუ მიჭირს, _ არა ვარ შორე,
მაგრამ ვლალადებ: ყასუმას ბანკსა_
ღმერთო, მაშორე, ღმერთო, მაშორე!

ქალს ვეტრფი ყველას ბებრების გარდა...
ან კი რას ვაქნევ, რაც გადაგვარდა?...
მხოლოდ არ მიყვარს ქალი მეჭორე...
ერთსაც ვთხოულობ: შლეიფს, კრინოლინს_
ღმერთო, მაშორე, ღმერთო, მაშორე!

(იქვე,76).

რასაკვირველია, რაფიელს არცერთ წუთს, არცერთ წამს არ ავიწყდება სამშობლო და დედაენა და კვლავ მათ სიყვარულზე გვესაუბრება:

მიყვარს სამშობლო და დედაენა,
ღმერთო, შენ მიეც ქართველებს ლხენა,
რომ იქნენ სწავლით სხვის თანასწორე!
თემურსა და ყრუს, უცხოს, უსჯულოს_
ღმერთო, მასორე, ღმერთო, მაშორე!

(იქვე, 77).

ამრიგად, რაფიელ ერისთავი უფალს თხოვს ააცილოს მას ყოველგვარი მზაკრობა, აზრთა გაფანტულობა, უცოდინრობა, ბოღმა, შური და ღირსეულ, სწორ გზაზე ატაროს. რაც შეეხება ლექსს „ჩემი ლოცვა“ ასე იწყება:

ღვთისა მშობელო, მოვილტვი შენდა,
მისმინე ლოცვა, იესოს დედავ!
მოვილტვი შენდა მე, მონამლული,
განჰკურნე ჩემი ჭრილობა, წყლული.
(ერისთავი, 1958 : 13).

პირველ სტროფში რაფიელ ერისთავი მიმართავს ღვთისმშობელს და სთხოვს, რომ მოუშუშოს ჭრილობა:

მუხემოდრეკილი შემოგვევლები,
მიიღე მსხვერპლად ჩემი ცრემლები,
მე მივუტევე ჩემსა მტანჯველსა,
შენც აპატიე, დამხსენ სასჯელი!“
(იქვე, 13.)

ლექსის მეორე სტროფით მწერალი მიმტევებლობას გვასწავლის. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ღვთის სადიდებელი ჰიმნი, რომელიც გვასწავლის უფლის სიყვარულს, უფლის გზაზე სიარულს და რაც მთავარია მიმტევებლობას.

რაფიელისთვის ეროვნულობა, სამშობლოს დამოუკიდებლობა და ქვეყნის ისტორია იმდენად სათუთია, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არათუ ლექსებით არამედ პოემებითაც იხსენებს საქართველოს წარსულ ამბებს, ქვეყნის ტკივილს, იმ ტკივილს, რომელიც მასაც ძალიან სტკივა. ერთ-ერთი ასეთი თავის შემოქმედებაში არის პოემა „თამარიანი.“

რაფიელ ერისთავის „თამარიანი“ ისტორიული პოემაა. თხზულებაში ასახულია, თუ რა მდგომარეობაში იყო საქართველო თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ, კერძოდ, რუსუდანისა და ლაშა-გიორგის მეფობის პერიოდი. პოემაში მკითხველის ყურადღებას ძირითადად იპყრობს შალვას და რუსუდანის ქალიშვილის თამარის სიყვარულის ამბავი. ნაწარმოები მოგვითხრობს იმდროინდელი საქართველოში არსებულ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებას და ამავდროულად გვანვდის ცნობებს ნაწარმოების გმირთა თავგადასავლის შესახებ.

„რაფიელ ერისთავს, მისივე თქმით, პოემისთვის გამოუყენებია „ქართლის ცხოვრება“ და გრიგოლ რჩეულიშვილის რომანი „თამარ ბატონიშვილი“, რომელიც თავის დროზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა“ (მახარაძე, 1978:71).

„საგანი ამ პოემისა,-წერს რაფიელი, -მე ავიღე „ქართლის ცხოვრებიდან“ და მქონდა სახეში რჩეულიშვილის რომანი „თამარ ბატონიშვილი“. ამ წყაროებს მასალისას ბევრით არ გადაუხვევს პოემა“.

თავისი პოემის „ქართლის ცხოვრებასთან მიმართებაზე რაფიელ ერისთავი ამბობს, „განსხვავება იმაშია მხოლოდ: 1) შალვასაგან გამიჯნურება თამარისა, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ არ არის მოხსენებული; 2) ივანე, შალვას ძიძიშვილათ არის ნახსენები პოემაში და „ქართლის ცხოვრებაში“ კი-ძმათ; 3) იქვეა მოხსენებული, რომ ლასას ქცევა გაჰკიცხესო და დავით ისევ მამას დაუბრუნესო და პოემაში კი , როგორც რჩეულიშვილის რომანში, - ელისაბედი ქვრივით არის გამოყვანილი და 4) ელიზბარზე და მის ჩადენილს შფოთზედ არა არის მოხსენებული „ქართლის ცხოვრებაში“. იქ ყრუათ არის ნათქომი: ლაშას სილოდაში თვალი გამოეთხარაო“ (კეკელიძე, 1936:197).

„თამარიანის“ თემაზე პირველი ნაწარმოებია გრიგოლ რჩეულიშვილის ისტორიული რომანი „თამარ ბატონიშვილი“, რომელიც 1862 წელს ივ. კერესელიძის „ცისკარში“ დაიბეჭდა. რჩეულიშვილის თხზულებას მკითხველთა შორის დიდი წარმატება ხვდა. „თამარ ბატონიშვილით“ განსაკუთრებით

გატაცებული მოსწავლე-ახალგზრობა ყოფილა. სოფრომ მგალობლიშვილის გადმოცემით, ეს რომანი „თითქმის მთელმა სემინარიამ ზეპირად იცოდა“.

გრიგოლ რჩეულიშვილის ამ თხზულებამ მწერალთა დაინტერესებაც გამოიწვია. „თამარ ბატონიშვილი“ გალექსა და მკითხველს პოემა „თამარიანის“ სახით მიანოდა სიმონ გუგუნავამ. „თამარ ბატონიშვილის“ თემაზეა დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა“ და სხვა

(მახარაძე, 1978 :72).

პოემა „თამარიანში“ რაფიელ ერისთავს უდიდესი გრძობით აქვს გადმოცემული, როგორც ტახტის მემკვიდრის დავით ლაშას ძის თავგადასავალი, ასევე შალვასა და თამარის სენტიმენტალური რომანი.

რაფიელ ერისთავის „თამარიანი“ სამშობლოს სიყვარულს, პატრიოტიზმს ღაღადებს. ნაწარმოების მთავარი იდეაა სამშობლოსთვის თავგანწირვა. სწორედ ამ იდეით ცხოვრობენ ნაწარმოების მთავარი გმირები. პოემის ორმოცდამეერთე თავში გადმოცემულია „დიდებულთ ყრილობა და ლაშა-გიორგის თათბირი“, როცა ქართველი მეფე თავის ერს მრავალრიცხოვანი, უზარმაზარი, ვერავი მტრის წინააღმდეგ საომრად ამზადებს.

სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულით განმსჭვალული, გმირული შემართებითა და პატრიოტული გრძობით აღსავსე შალვა გამოჩნდება პოემის გმირთა გვერდით.

ომის დასაწყისშივე შალვას წარადგენენ კახელებისა და თორელების ლაშქრის სარდლად. ნაწარმოები ააშკარავებს ივანე ათაბაგის მტრულ დამოკიდებულებას შალვასადმი, რომელიც ომში ქართველთა ლაშქრის უმაღლესი სარდალია.

მკაფიოდ, ცხადად იგრძნობა ივანე ათაბაგის მზაკვრული განზრახვა(XXXII თავი), შალვას მიმართ, სადაც ის ამბობს:

ისა სჯობს, რომ მე თავი დამ, იგი მალე მოვიშორო,

შვილი მყავდეს სპასალარათ, მტერი მტრულად მოვალორო,

შევაჯახო ჯალალედინს, ვაძებნინო თავგის სორო,
ჯარი აღარ მივაშველო, მთლათ მინასთან გავასწორო!...

(მახარაძე, 1878 : 73).

შალვა თავისი ლაშქრით დაუღალავად იბრძოდა, მაგრამ მრავალრიცხოვან მტერთან ჭიდილში წარმატებას მაინც ვერ აღწევდა, რადგან ათაბაგი მაშველ ძალებს არ აწვდიდა. კახელთა და თორელთა ლაშქარი თანდათან დასუსტდა, ძალა გამოეცალა. ბოლოს კი თხზულებაში ნათქვამია, რომ ასეთ ვითარებაში მტრის რაზმიდან „ათი კაცი შალვას ეცა, ზეზურათ გაააკავეს, ურდოსაკენ გააქანეს, ომი ამით გაათავეს“ (მახარაძე, 1978 : 73).

ათაბაგის ვერაგობამ, არა მარტო შალვა და მისი ძიძიშვილი იმსხვერპლა, არამედ იქვე ბევრი სხვა ქართველი მეომარიც დაიღუპა და, საზოგადოდ, ამ ომში ქართველობა დამარცხდა. მიუხედავად ყოველივე ამისა, „გულით მყრალი“ ათაბაგი მაინც კმაყოფილია იმით, რომ შალვა გზიდან ჩამოიშორა“ (მახარაძე, 1978:73).

პოემის ოცდამეცამეტე თავში ნათქვამია:

თათრის ჯარმა

დაინწია, მტერს დაეხსნა, მასთან შებმულს,

და თუ ჰსძლია ქართველებსა, ჰგავდა უფრო დამარცხებულს!

ათაბაგსა, გულით მყრალსა, შალვას მტრობით გამარჯვებულს,

დამარცხება ფარად უჩნდა, რაკი შალვას ჰმზერდა ვნებულს.

(იქვე, 73)

„შალვას პატრიოტულ-გმირული შემართება განსაკუთრებით იჩენს თავს ჯალალედინთან ურთიერთობაში. დატყვევებული შალვა ჯალალედინს წარუდგინეს და მისი დიდი ქებაც მოახსენეს. ჯალალედინმა ახალგაზრდა ქართველ ვაჟკაცს რჯულის შეცვლა დაავალა, და იქვე დასძინა: „სხვა ღონე შენთვის არა ჩანს, სუყველა დაკარგულია“.

მტრის ასეთ უღირს წინადადებას შალვა მტკიცედ პასუხობს: „რჯულს ვერ შევიცვლი ვერაფრით, ღვთისა არ მნადის წყენაო“. შალვა სასტიკ დამპყრობელს

აძლევს პირობას, რომ ტყვეობიდან გაპარვას არ შეეცდება; იგი მის გვერდით იბრძოლებს კიდევ, მაგრამ სხვა მტრებთან, ოღონდ ქართველებთან არა.

„ჯალალედინი შალვასაგან ამგვარ დაპირებას თითქოს სჯერდება, მაგრამ იგი გაუტეხელ ქართველს კვლავ ეკითხება: „გზას ხომ მასწავლი მაინცა, ქართლში რომ ვიყო მსვლეელია“?(მახარაძე, 1978:74).

შალვა დამპყრობლის ამ შეკითხვასაც უარყოფითად პასუხობს. პოემაში ვკითხულობთ:

შალვამ შეჰკადრა: „ბატონო ბარემ გამომჭერ ყელია...

რჯულის შეცვლაზე ეგ ტვირთი ჩემთვისინ უფრო ძნელია!..

(მახარაძე, 1978:74).

ჭაბუკი ქართველი გმირი მტერს მელგრად, თავდაჯერებით, მტკიცედ ეუბნება, რომ მას არ სურს იყიდოს სიცოცხლე, ან გამოიყვალოს სარწმუნოება დანაპირები ჯილდოს, ფუფუნების სანაცვლოდ. ბოლოს კი ტყვედ ჩავარდნილი ქართველი ასე მიმართავს დაუნდობელ და სისხლისმღვრელ ჯალალედინს:

რჯულს არ შევიცვლი, თუ გინდა, ტანზე მომიღოთ გენია,

ვერც უღალატებ მამულსა, მის მეტი რა დამრჩენია?!

(იქვე,74).

რა თქმა უნდა, ქართველი კაცისგან, რომელსაც თავისი სამშობლო საკუთარ თავზე მეტად უყვარს, არაა მოულოდნელი ამგვარი პასუხი ჯალალედინისადმი. პასუხით უკმაყოფილო, იმედგადაწურული, გამწარებული ჯალალედინი ჯოჯოხეთურად შესძახებს:

„კერპო, მომცილდი თავიდან!...ნა, წაიყვანეთ ჩქარაო!“

(იქვე, 74).

„თამარიანის“ ამ ნაწილიდან მკითხველისთვის ნათელი ხდება შალვას მოსალოდნელი სასჯელი. ჯალალედინი ამბობს:

თუ რჯულს არ იცვლი ურჯულო, მზეს დაუბნელებ მთვარესა

მთლად ლუკმა-ლუკმა ავსერავ, დღეს დავაყენებ მწარესა.

(იქვე, 74).

„ თხზულების მომდევნო ნაწილში შალვა კვლავ საპყრობილეშია. ამ დროს მან უკვე საბოლოო დასკვნა უნდა გააკეთოს კითხვაზე: შეიცვლის რჯულს და სიცოცხლეს შეინარჩუნებს, თუ მშობლიური ქვეყნისთვის საკუთარ სიცოცხლეს გასწირავს. შალვას პიროვნების სიდიადე სწორედ იმაშია, რომ იგი, ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, მტკიცედ დაასკვნის:

„კაცი ის არის, ვინც მამულს ეტრფის და ეთაყვანება,
ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო, ვერც მისი მკაცრი ბრძანება,
ვისაც სამშობლოს ოხვრისთვის ლომ-გული მოეფხანება,
ვინც დასთხევს მისთვის წმინდა სისხლს, მონამეს დაეგვანება!..

(მახარაძე, 1978 : 74-75).

შალვა საშინლად აწამეს, ისე როგორც დაუნდობელი, მრისხანე ჯალალედინი ემუქრებოდა. „იგი წამების ძელზე მიკრული, ისრით მკერდგაპობილი, სამი ღლის განმავლობაში საშინელი ტანჯვა-წამების შემდეგ იღუპება“ (მახარაძე, 1978 : 75).

შალვა ის გმირია, რომელიც აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას და დიდი ილიას თხზულებების სახელგანთქმულ გმირთა შორის დგას.

„რაფიელ ერისთავი აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „ კავკაზში“. გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა მისი მიმოხილვები, ეთნოგრაფიულ-ისტორიული წერილები საქართველოს თითქმის ყველა კუთხის შესახებ, მხატვრული ნარკვევები თურქ დამპყრობლებთან ბრძოლაში დაღუპული ქართველი და რუსი მეთომრების საერთო გმირულ ბრძოლებზე და სხვა.

საინტერესო წერილი დაბეჭდა რ. ერისთავმა გაზეთ „ კავკაზის“ 1856 წლის იანვრის ნომერში. ამ სტატიაში მწერალმა უარყო უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებული ყალბი ცნობები, თითქოს თურქეთის ჯარებმა ომარ ფაშას ხელმძღვანელობით დიდი შეტევა დაიწყეს, ქუთაისი დაიკავეს, მალე სურამს გადავლენ და თბილისს დაიკავებენო. რაფიელმა აღნიშნა, რომ ამ ჭორების

გამავრცელებლებს მიზნად ჰქონდათ რუსეთის სარდლობის ყურადღება ჩამოეშორებინათ ყარსის გმირული ბრძოლებისაგან. რ. ერისთავი მოსწრებულად შენიშნავდა, რომ „თურქებმა მართლაც ნახეს ქუთაისი, თბილისიც, მაგრამ არა როგორც გამარჯვებულებმა, არამედ როგორც ტყვეებმა“. ამ გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მრავალ წერილში ახალგაზრდა ავტორი არაერთგზის მოაგონებდა მკითხველს ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის ისტორიას და მათ ლტოლვას საერთო ძალით აელაგმათ მუსლიმანური ქვეყნების შემოტევა“ (ბარამიძე, 1974:264).

რაფიელ ერისთავის შემოქმედება არ გამოირჩევა მრავალმხრივი მოთხრობებით, თუმცა მას აქვს ერთი-ორი ისეთი მოთხრობა, რომელიც მკითხველის ყურადღებას იპყრობს. ასეთებია: „ბეჩავი“ და „ნინო“.

უნდა აღინიშნოს რომ, 1855 წელს „ზურნაში“ რ. ერისთავმა გამოაქვეყნა რუსულად დანერილი მოთხრობა „ობორვანეც („ბეჩავი“). მალე მას მოჰყვა ქართული მოთხრობა „ნინო“. „ბეჩავი რეალისტური ნაწარმოებია, რომელიც მასალის ღრმა ცოდნით აგვიწერს ქართველი მთიელების ყოფა-ცხოვრებას, მათ მამაპაპურ ადათ-წესებს. მართალია, მოთხრობაში იგრძნობა ავტორის ერთგვარი ცდა - დაინტერესოს მკითხველი მასალის ეგზოტიკურობით, მაგრამ ეს არ უშლის ხელს მწერალს რეალისტურად ასახოს მთიელთა ყოფა-ცხოვრება. როგორც პროზაში ისე პოეზიაში ერისთავმა პირველმა შემოიტანა მთის ცხოვრების სურათები.

მძაფრი კონფლიქტები, თხრობის კომპოზიციური ჩარჩო მკითხველს იზიდავს და მოთხრობა თავიდან ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება, რასაც ხელს უწყობს სადა მხატვრული ენა.

გაბედულადაა გადანყვეტილი ნაწარმოებში წამოჭრილი სოციალური უსამართლობის საკითხი. აშკარად იგრძნობა ავტორის მამხილებელი ტონი, მისი კრიტიკული დამოკიდებულება მთავრობის მახინჯი მართლმსაჯულებისადმი, რომელმაც უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე შეიწირა.

რ. ერისთავის ამ მოთხრობამ თავის დროზე საკმაო ინტერესი გამოიწვია. 1855 წელს „კავკაზში“ დაბეჭდილ რეცენზიაში ცნობილი რუსი მწერალი სოლოგუბი დადებითად აფასებდა „ბეჩავს“ (ბარამიძე, 1974:237).

„რუსულ ენაზე გამოქვეყნებულმა პირველმა ლიტერატურულმა „ალმანახმა“, „ზურნამ“ რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის ყურადღება მიიპყრო. „ზურნა“ დაკვირვებით წაუკითხავს დიდ რევოლუციონერ - დემოკრატს ნ. ჩერნიშევსკის. იგი აღტაცებული დარჩენილა ამ „ალმანახის“ გამოსვლით და საყურადღებო მოსაზრებებიც გამოუთქვამს ჟურნალში მოთავსებულ პროზაულ ნაწარმოებთა შესახებ“ (ბარამიძე, 1974:237).

აგრეთვე, 1857 წლის „ცისკარში“ დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის მოთხრობა „ნინო“. ნაწარმოები აგებულია უბედური სიყვარულის თემაზე. ნინოსა და ალექსანდრეს სიყვარულს ეწინააღმდეგებიან ნინოს მშობლები. ყოველთვის უსიტყვოდ დამჯერი ნინო ემორჩილება დედ-მამას, გულში იკლავს დიად გრძნობას და მიყვება ღირსების არმქონე ლევანს, რითაც ის იღუპება. აღსანიშნავია, რომ ნაწარმოებში სიყვარულის თემა სოციალურ ურთიერთობასთან მიმართებაში იშლება. რაფიელ ერისთავი ნაწარმოებში ძალიან მკაფიოდ, ნათლად გვიხატავს გადაგვარების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის ზნეობრივი გახრწნის სურათს. „ნინო“ რ. ერისთავის პროზის უმნიშვნელოვანესი, შესანიშნავი ნიმუშია. პროზისმოყვარეობამ, გამჭრიახმა გონებამ და ალლოიანობამ რ. ერისთავს საშუალება მისცა პირველს დაენახა და აღენერა 50-იანი წლების საქართველოს ის საყურადღებო მოვლენები, რომლებიც შემდგომი წლების მწერალთა შემოქმედების უმნიშვნელოვანეს თემად იქცა. (თავადაზნაურული ბუდეების რღვევა, რუსეთში განათლებამიღებული „ახალი თაობის“ სახე, ფეოდალური ცრუმორწმუნეობის, გაუნათლებლობის შედეგები და სხვ.)

აღსანიშნავია, რომ რაფიელ ერისთავი თავისი უშუალო, თბილი, გულწრფელი ხასიათის გამო ყველას უყვარდა. ყველგან სიტბოსა და სიყვარულს თესავდა.

„ჩვენი პოეტი მართლაც, რომ ბედნიერ გამონაკლის წარმოადგენს. მასში სჩანს რაღაც თავისებური ნაჭედობა, დაბინავებული სულის სიმტკიცე და მიწაწაყრილი კულტურის შენახულობა და გამძლეობა. იგი თითქოს ჩაკირულია, შინაგანი ურყევობით დამძიმებული, მიწასთან შეხორცებული და ცხოვრების ქარტეხილების მუხასავით თავზე გადმამვლები. ეს ძარღვიანობა და ხასიათის შეკრულობა მისი პორტრეტიდანაც ჩანს, რომელსაც მკვეთრად აჩნევია ხასიათის მაჩვენებელი მკაცრი ხაზები. მხოლოდ ასეთ პიროვნებებს შეუძლიათ ის დიდი შინაგანი გადახალისება და ახლად შობა, რომელიც რაფიელ ერისთავმა მოახდინა თავისში. და ეს ძალა მის პოეზიაშიც ხომ მკაფიოდ მოჩანს მან, თავისი პოეტური ინტუიციით, შეძლო იმ „მდევის ნამუხლარის“ მიგნება, სადაც ჩვენი ერის სტრიქონი სთვლემდა და რამაც მოგვცა ვაჟა ფშაველას უზარმაზარი პოეზია“ (კოტეტიშვილი, 1959:503). შეუძლებელია „უყურადღებოდ დავტოვოთ ლუკა რაზიკაშვილის ძმის, ბაჩანა რაზიკაშვილის დამოკიდებულება რაფიელ ერისთავისადმი. 1886 წელს მოხუც მგოსანს ასე მიმართა ბაჩანამ:

„შენი ჭირიმე მოხუცო,

ია გესროლე მამაო,

ძილშიით გამამალვია

შენმა ფანდურის ხმამაო,

შაერთო გრძნობის მორევსა,

ჩემ გულიც აიჩქამაო“...

(მახარაძე, 1978:395).

რა თქმა უნდა, უპასუხოდ არ დატოვა რაფიელმა მისდამი ბაჩანას მიმართვა და ამგვარად, ლექსითვე უპასუხა:

გადმახალისა, ძმობილო,

შენგან ნასროლმა იამა,

შენი ფანდურის უღერაი

მოხუცს გულს მეტად იამა!

(მახარაძე, 1978:396).

მართლაც, მწერლის შემოქმედების დამამშვენებელ ფურცლად იქცა რაფიელ ერისთავის ლექსი, რომელიც ბაჩანას მიუძღვნა.

ვაჟა-ფშაველას მესამე ძმაც, თედო რაზიკაშვილი, დიდი სიყვარულით და მღელვარებით წერდა რაფიელ ერისთავს:

„ფშავით გიბარებ ფშაველი

ახლათ წვერ შემამდინარი,

ფანდურზე დავმღერ შენს ლექსსა,

თვალეbs მწვავს ცრემლი მდინარი.

(კოტეტიშვილი, 1959:504).

ძმებს რაზიკაშვილებს, რაფიელ ერისთავი იმდენად უყვარდათ, რომ სიმღერებსაც კი უძღვნიდნენ. თედო რაზიკაშვილი ჯერ უნახავი რაფიელ ერისთავის გაცნობას სთხოვდა ასე სთხოვდა ვაჟას:

ვაჟას ვეხვეწე წამოვალ,

ეგებ მაცნობო, ვინარი:

შენი მაჩვენა სურათი,

ბერი, დიდებით მჩინარი...

ხუთთავ ძმათ ლაზიკაშვილთა

მოკითხვა შემოგითვალეთ,

შენ სადღეგრძელოც დავლიეთ,

ყანნები გამოვიცალეთ“...

(იქვე, 504).

„ ეს ყანნები მთელმა საქართველომაც გამოსცალა, როდესაც რაფიელ ერისთავს 50 წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილე გადაუხადა, ჩვენს მწერლობაში პირველი იუბილე, და გულსავსემ დალია 71 წლის მოხუცი პოეტის სადღეგრძელო. ეს ნამდვილი სახალხო დღესასწაული იყო, რომელმაც თავი მოუყარა ჩვენი ქვეყნის ყველა ფენებს, განსაკუთრებით ინტელიგენციას, მუშებსა და გლეხებს რომელნიც თითქოს ერთმანეთს ეცილებოდნენ დამსახურებულ პოეტის სიყვარულსა და პატივისცემაში. - „ძალი არ შგვწევს ჩვენ ხელოსნებსა, რომ ღირსეულად შეგამკოთ ქებით - ო“ - ასე ეუბნებოდა იუბილარს მეჩემეების წარმოდგენილი იოსებ გარსემანიშვილი. „მგოსანო! შენმა სიმთჟღერამ მოგვფინა სულის ძალ-ღონე, იმედით ვეტრფით მომავალს, დიდის წარსულის მომგონე - ო“ და სხვ. ასე ულოცავდნენ დურგლები რომელთაც თავისი ხელით გაკეთებული საწერი მაგიდა მიართვეს პოეტს“ (კოტეტიშვილი, 1959 : 504-505).

რაფიელ ერისთავი იმ დროინდელი საქართველოს რეალობიდან გამომდინარე წერდა ლექსებს, რომლებიც ეხებოდა სოციალურ თემატიკას. იგი თავის შემოქმედებაში საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ლექსებს, სადაც ბატონყმობაა დაგმობილი.

მნიშვნელოვანი ის მოტივებიც, რომლებიც გვანიშნებენ ავტორის ბუნების ჯერ გამოუმუღავნებელ, განსხვავებულ თვისებებს. 1857 წელს რაფიელ ერისთავმა დაწერა ლექსი, რომელსაც უწოდა „მთხოვნელი მსაჯულისადმი“. ამ ლექსში ფაქტობრივად რაფიელ ერისთავმა ასახა ის, რაც დიდმა ილიამ „კაკო ყაჩაღში“, მაგრამ უფრო ვრცლად და მასშტაბურად. აქ ჩანს ბატონის წინაშე დედის თხოვნა შვილის დაბრუნების შესახებ („ კაკო ყაჩაღში“- დედის ნაცვლად მამაა გამოყვანილი.)

–„მოველ ბატონო, ღმრთისა მსაჯულო,

გენაცვალეების შენ ჩემი თავი;

მხურვალეთა გთხოვ, ცრემლითა გვერდი,

გულს მომაშორე მე ცეცხლი მწვა

გთხოვ დამიბრუნო მე ჩემი შვილი,

(ერისთავი,1974:24).

ლექსში განსაკუთრებით მტკივნეული და ტრაგიკულია სწორედ ის მომენტი, როცა სასონარკვეთილი დედა ცრემლიანი თვალებით შესთხოვს ბატონს დაუბრუნოს შვილი, შვილი, რომლის ბატონ-პატრონიც რეალურად დედაა, ამ შემთხვევაში კი „ბატონი“. ლექსში ვკითხულობთ:

დედა ვარ მისი, განა მომკლავი?

სხვა რად პატრონობს ჩემსა ნაშობსა,

რისთვისა სტანჯავს მანდ მდგომი სვავი?

შვილი ჩემია, უარს ხომ ვერ ვყოფ,

გთხოვ მომაშორო ეს ცეცხლის ალი,

მე ბევრს ვერ შევსძლებ სუსტის ბუნების,

დედა ცოდვილი, ბედ-კრული ქალი...“

(იქვე,24).

ამ ლექსში, გარკვეულ წილად ჩანს ბატონყმობის წესების გმობა, ბატონყმობის გადაგდებამდე შვიდი წლით ადრე. აქ ნაჩვენებია ის თანაგრძნობა და სიყვარული, რომელსაც თვით პოეტი გრძნობდა და ცდილობდა სხვებშიც სიყვარულის გამოწვევას.

სოციალურ თემაზეა დაწერილი აგრეთვე ლექსი „ღარიბი“. ამ ლექსში ღარიბი, მაგრამ დიდსულოვანი, სულიერად მდიდარი, ზნეობრივად ამაღლებული ადამიანი უდიდესი შეგნებით მიმართავს მდიდარს:

„მილიონებსა ნატრობ, ეძებ ბედნიერებას,
ფულებსა სცემ თაყვანსა, სღევნი მეცნიერებას...
რასაც ეძებ ვერ ჰპოვებ, გეტყვი წმინდის გულითა,
ვერა ჰპოვებ, რადგანაც, ღარიბი ხარ სულითა...“

(კოტეტიშვილი, 1959:509).

უამრავი ლექსი აქვს დაწერილი თუ გადმოთარგმნილი ამ მოტივზე რაფიელს. იგი ყოველთვის კეთილსინდისიერი, მშრომელი ხალხის სადარაჯოზე იდგა და ძალიან გუნრთვულად, ალაღად იზიარებდა მათ ჭირსა თუ ლხინს. რასაკვირველია, ამას არ სჭირდება ბევრი ახსნა - განმარტება, ვინაიდან მისი შემოქმედება გვიდასტურებს ყოველივე აქ თქმულს.

რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში ვხდებით სამ ძირითად მოტივს: პატრიოტულს, სოციალურს და სატრფიალოს. უნდა ითქვას, რომ რაფიელ ერისთავის პატრიოტული მოტივი განსაკუთრებულია. რაფიელ ერისთავის პოეზიას დიდაქტიკური იერიც დაკრავს. ეს კი აიხსნება ქვეყანაში არსებული იმდროინდელი ვითარებით, იმ მძიმე ვითარებით, რომელსაც გულისტკივილით უმზერდა მწერალი.

რაფიელ ერისთავის იგავში „დათვი და ცხვრები“ გადმოცემულია ქვეყანაში არსებული რეჟიმის ვითარება, ის სულიერი ტრაგიზმი, რაც არაერთხელ განუცლია ქართველ ერს. და აი:

ცხვრებს დაეხოცათ მწყემსები,
ძაღლებიც, მცველნი ფარისა,
დარჩნენ ოხრად და ტრიალად,
მტრისგანაც შესაწყალისად...
მოგეხსენებათ, მტრადა ჰყავთ
მხეცები მრავალ გვარისა...

(კოტეტიშვილი,1959:509).

ამ დიდაქტიკური ლექსით, რაფიელ ერისთავმა, მეთვრამეტე საუკუნის ბოლო წლების საქართველო წარმოგვიდგინა, საქართველო რომელსაც ყოველი მხრიდან ეპატრონებოდნენ და ძარცვავდნენ ძლიერი სახელმწიფოები, თუმცა მგლებისა და მელების ხროვას უეცრად თავს წაადგება დათვი, რომელიც ცხვრებს მიმართავს „ნუ გეშინიათ, მოგეშველებით - ო“.

ამ „მფარველობის“ შედეგს კი, ასე აღგვიწერს ჩვენი პოეტი:

თურმე ბატონი, ეს ჩვენი დათვი,
ყოველდღე კრავებს ეთამაშება,
ხან გააგორებს, გამოაგორებს,
ასე აწვალებს, არ აძლევს შვებას,

(კოტეტიშვილი,1959:510).

ამგვარად, ის ვინც ჩვენი ქვეყნი მეგობარი გვეგონა, ბევრჯერ მტერი გამომდგარა. მტერი, რომელიც მეგობრობის ნიღაბს ამოფარებული საქართველოს მიწას უთხრიდა, საფუძველს აცლიდა:

იმდენსა სჯიჯნის, რომ მიაშკვდაროს,
შემდეგ დაჰბეჟავს, დაადებს ყურსა
და, ამნაირად, თითო ბატკანსა
ყოველდღე ჩაქნთქავს, როგორც კი ჰსურსა...

(იქვე,510).

ასე შეფარულად, ქარაგმებით რაფიელ ერისთავი, რასაკვირველია, საუბრობდა მოსალოდნელი საფრთხის გამო, რაშიც იგულისხმება ცენზურა, თუმცა ავტორი იმდენად ოსტატურად და მოხერხებულად გადმოგვცემს თავის სათქმელს,

რომ მკითხველს არანაირი კითხვა არ ებადება. ავტორი მკაფიოდ გადმოგვცემს სათქმელს. რაფიელ ერისთავი ქართველ ერს მოუწოდებს, რომ ციხე შიგნიდან გაამაგროს, რომ ეროვნული შეგნება უფრო მაღალ საფეხურზე დადგეს, ისეთზე როგორსაც იმსახურებს ქართველი ერი, როგორიც შეშვენის საქართველოს.

ზემოაღნიშნული სამი მოტივი, ის ძირითადი საკითხებია, რომელთა გარშემოც ტრიალებდა ჩვენი პოეტის შემოქმედებითი ბუნება.“

რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლექსს „კაცი ის არის“, რომელიც ასე იწყება:

„კაცი ის არის, ვინც მისდევს
დიდის მოძღვრების მცნებასა,
ვინც მოძმეს გულსა გაუხსნის,
თავს აუცილებს ვნებასა,

(ერისთავი, 1974:21).

ქვრივ-ობლებს ცრემლებს მოსწმინდავს,
მოუსპობს გაჭირვებასა,
იბრძვის და იბრძვის ერისთვის,
ქვეყანას მისცემს შვებასა!“

(იქვე, 21).

აღსანიშნავია, რომ მგოსანი კაცად იმას თვლის, ვინც ცხოვრების უპირველეს ღირსებას უფალში ხედავს, ვინც უფლის შევონებებს იზიარებს და „დიდის მოძღვრების მცნებას მიჰყვება“:

კაცი ის არის, ვინც მამულს
გამოადგება შვილადა,

ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს,
თავი სამსხვერპლო წილადა,
ქვეყნისა ცრემლი ჭირად უჩნს,
მისი ღიმილი ლხინადა,
ვინც მისთვის თავსა შესწირავს,
მას შამოავლებს ფთილადა!

(იქვე, 21).

რაფიელ ერისთავი მამულისათვის თავდადებულ და მსხვერპლად შეწირულ პიროვნებებს მიიჩნევს კაცად, მათ, ვინც მამულს ჭირსა თუ ლხინში გვერდით უდგანან. და ბოლოს გვეუბნება:

კაცი ის არის, ვინც მამულს
ეტრფის და ეთაყვანება,
ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო,
ვერც მისი მკაცრი ბრძანება,
ვისაც სამშობლოს ოხვრისთვის
ლომ-გული მოეფხანება,
ვინც დასთხევს მისთვის წმინდა სისხლს,
მონამეს დაეგვანება!

(იქვე, 21).

ამრიგად, რაფიელ ერისთავი კაცად იმას თვლის, ვისაც უფლის სიყვარულთან ერთად სამშობლოს უანგარო სიყვარული შეუძლია.

ასე რომ, რაფიელ ერისთავის ლექსთა თემები მრავალმხრივია. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ მისი შემოქმედების სხვა მხარეებსაც (იგავ-არაკები, მოთხრობა, კომედიები და სხვ.). მან ყველაფერი ისე გულშიჩამწვდომად და გულიანად თქვა, რომ შეუძლებელია მკითხველმა ადვილად დაივიწყოს.

ამრიგად, მისი ლექსის ზომასს და მუსიკალობა სადაა და ხმიერი. პოეტს არ უყვარს გაბრტყელებული და გრძელი ფრაზა, ან მოგონილი სამკაულები. მართალია, პირველი ლექსები უფრო ძველია და მძიმე, საგანგებო მწერლური „სიდარბაისლით“ გაზვიადებული, მაგრამ შემდეგ ლექსის მოქნილობა მან დაიყვანა ხალხური შაირების დონემდე, რომელიც უფრო სიმღერად არის განკუთვნილი, ვიდრე საკითხავად. მისი ას ორმოცდარვა სალირიკო ლექსიდან შაირის ზომით დაწერილია ას ერთი ლექსი.

თავი. III რაფიელ ერისთავის საზოგადოებრივ - მეცნიერული ღვაწლი ქართველი ერის ისტორიაში

განუზომელია ქართულ რეალობაში რაფიელ ერისთავის საზოგადოებრივ-მეცნიერული ღვაწლი.

რაფიელ ერისთავმა დიდი ამაგი დასდო ქართულ თეატრს, როგორც მწერალმა-დრამატურგმა და როგორც საზოგადო მოღვაწემ.

აღსანიშნავია, რომ მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში რაფიელი, აკაკი წერეთელთან ერთად, სათავეში ედგა ქუთაისის სცენისმოყვარეთა წრეს. იმავე პერიოდში (1868-1870 წლებში) მას უკვე გამოქვეყნებული ქონდა პიესები: „

დედაკაცმა თუ გაიწია , ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია“ , „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ , „იჭვიანი“ და სხვები. თბილისში გადმოსვლის შემდეგ რაფიელი აქტიურად მონაწილეობდა იმ საქმიანობაში, რომელიც პროფესიული ქართული თეატრის აღსადგენად წარმოებდა.

ქართული თეატრის აღდგენის შემდეგ ჩვენი მწერალი ქართული დრამატული საზოგადოების წევრი იყო, ამავდროულად, წლების განმავლობაში ეჭირა იმავე საზოგადოების თავმჯდომარის თანამდებობა.

„რაფიელ ერისთავის ღვაწლი მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების ქართული თეატრის წინაშე განსაკუთრებით დიდია.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, განახლებული ქართული თეატრი პიესების დიდ ნაკლებობას განიცდიდა. ასეთ ვითარებაში აკაკი წერეთელთან, ალექსანდრე ყაზბეგთან და ავქსენტი ცაგარელთან ერთად, რაფიელი ფრიად ნაყოფიერ შრომას ეწეოდა. მის პიესებს ქართული თეატრის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქართული თეატრის განახლების პირველი დღეებიდანვე. იგივე პიესები არაერთგზის წარმოუდგენიათ როგორც თბილისის, ისე რაიონული თეატრების სცენაზე. ბევრ მათგანს დღემდე არ დაუკარგავს ცხოველყოფილობა და მიმზიდველობა.

ქართული თეატრის ერთ-ერთი მოღვაწის, გიორგი თუმანიშვილის გადმოცემით, რაფიელმა 1879 წელს „ არა მარტო გადასცა ახალგაზრდა თეატრს მის მიერ ქართული სცენისთვის ნიჭიერად გადმოკეთებული ადრინდელი ვოდვილები, არამედ ხელი მიჰყო ახალი პიესების წერას“.

დაბოლოს, გიორგი თუმანიშვილი აღნიშნავს, რომ მგოსანი „უბრალოდ კი არ წერდა პიესებს, რომელიც შეესაბამებოდა მის ნიჭს , არამედ ქმნიდა სწორედ ისეთ როლებს , რომელიც ახლოს იყო დასის ძალების ტალანტთან. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც კომედია „ბიძიასთან გამოხუმრება“ , იგი თითქოს განგებ არის შექმნილი საფაროვა - აბაშიძისა და კ. ყიფიანისათვის“ (მახარაძე, 1978:23).

„რაფიელ ერისთავი თავდადებით და უანგაროდ ემსახურებოდა ქართულ თეატრს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ამიტომაც იყო, რომ 1895 წლის საიუბილეო ზეიმზე მას გულწრფელად მიესალმა, როგორც ქართული დრამატული დასი, ისე დრამატული საზოგადოება. პირველმა რაფიელს თავისი მოძღვარი და მასწავლებელი უწოდა, ხოლო ქართული დრამატული საზოგადოებისგან მიძღვნილი ადრესი ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა: „იყო დრო, როდესაც ჩვენს თეატრს არ ჰქონდა რეპერტუარი და არ ყავდა მაყურებელი. ეხლა, ღვთით, ამ მხრივ, საქმე უკეთ არის და ამ საქმის გაუმჯობესებაში თქვენ დიდი და დიდი სამსახური სამსახური გაგიწევიათ.“

აი როგორ მიმართავდნენ მგოსანს იუბილეზე: „ეხლა ქართული თეატრის საქმე უკვდავია ისევე, როგორც ის ერი, რომლის აღორძინებას იგი ემსახურება და ამ უკვდავთა შორის თქვენი სახელიც უკვდავია. ქართული დრამატული საზოგადოება ბედნიერია მით, რომ თქვენისთანა პატიოსანი მოღვაწე იმის წევრათ ითვლება. დღეს ეს საზოგადოება გთხოვთ, მის მადლობასთან ერთად მიიღოთ აგრეთვე წოდება ქართული დრამატული საზოგადოების საპატიო წევრისა“ (მახარაძე, 1978:23).

რ. ერისთავმა დაგვიტოვა სხვადასხვა კრიტიკული წერილი თეატრის, ფოლკლორის, ქართული ენის და ზოგიერთი ქართველი მწერალის შესახებ (ნ. ბარათაშვილი, აკაკი, გ. წერეთელი და სხვ.).

რაფიელ ერისთავს დიდი წვლილი მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. იგი ამ საზოგადოების დამაარსებელთა ჯგუფში შედიოდა. 1879 წლის 15 მაისს ჩვენი მწერალი პირველი გამგეობის წევრად აირჩიეს. ეს უბრალო მოვლენა არ არის. აღსანიშნავია, რომ საინტერესო ცნობები შემოუნახავს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი შეკრების შედეგებზე ქართულ პრესას. გაზეთი „დროება“ თავის მკითხველებს საგანგებოდ ატყობინებდა კრების შედეგებს. „დროება“ წერდა: „საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეობა კრებამ სთხოვა გრიგოლ

ორბელიანს; ამან მადლობა გადაუხადა საზოგადოებას პატივისცემისათვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, უარი გამოაცხადა ამ თანამდებობის მიღებაზე. ამის გამო გამგეობის თავჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული დიმიტრი ყიფიანი“ (გაზეთი „დროება“, N101, 1879).

რაფიელ ერისთავი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. რა თქმა უნდა, სიძნელები, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელებს მუდამ ხვდებოდათ, უცხო არ იყო ჩვენი პოეტისთვისაც. რაფიელ ერისთავის გულწრფელი, უანგარო, მუხლჩაუხრელი მოღვაწეობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში უპასუხოდ არ დაუტოვებია იმავე საზოგადოებას, ეს კი გამოიხატა იმაში, რომ სახელოვანი მგოსანი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში თავის საპატიო წევრად აირჩია.

რაფიელ ერისთავი ქართველ მწერალთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელსაც ლიტერატურის ისტორია ყოველთვის დადებითად და თბილად მოიხსენიებს, იგი უპირველეს ყოვლისა მწერალია, მაგრამ მას ასევე დიდი წვლილი მიუძღვის კულტურის სხვა სფეროების განვითარებაშიც. რაფიელის კალამს ეკუთვნის სხვადასხვა ნაშრომები ქართული ენის, ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე, რომელთაც ღირებულება დღემდე არ დაუკარგავთ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რაფიელ ერისთავმა 1873 წელს პირველმა შეადგინა და გამოსცა „ შემოკლებული ლათინური, რუსული და ქართული მცენარეთა ლექსიკონი“. მწერალი თვითონვე მოგვითხრობს მიზანდასახულობაზე და გვიყვება ამ რთული, თუმცა კეთილშობილური პროცესის შესახებ და ამბობდა: „ლექსიკონის შედგენა განვიზრახე იმ აზრით, რათა მიმეცა რამოდენიმე შემწეობა და საშუალება სწავლის მოყვარეთა ქართველთათვის მიგნებად რომელთამე მათგან უცნობთა სახელწოდებათა ლათინურ ენაზედ, იმ შემთხვევაში, როდესაც იგინი ჰპოებდნენ ანუ გადაეყრებოდნენ წიგნებში ესე გვართა და ვერ მიაგნებდნენ, თუ რომელს მცენარეს ეკუთვნის ის სახელწოდება; აგრეთვე მსურდა უცხო ქვეყნის პირთათვისცა მიმეცა

საშუალება ცნობად მცენარეთა სახელწოდებათა ქართულს ენაზედ“ (მახარაძე, 1978:25).

იმავე წიგნის წინასიტყვაობაში რაფიელი თავმდაბლად აცხადებს, რომ იგი ფიქრობს მომავალშიც განაგრძოს ამ მიმართულებით მუშაობა და მკითხველ საზოგადოებას სთხოვს მიაწოდოს შენიშვნები და მითითებები.

რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ, 1884 წელს რაფიელ ერისთავმა კვლავ გამოსცა ლექსიკონი სათაურით „ მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდგან“. ამ გამოცემაში, როგორც ჩანს, ახალია სიტყვები ცხოველთა და ლითონთა სამყაროდან. ამასთანავე წიგნი ორჯერ მეტი მოცულობისაა ვიდრე პირველი გამოცემა იყო.

მოულოდნელი არაა, რომ მწერალი თავის ლექსიკოლოგიურ საქმიანობაში ისევ და ისევ ხალხს მიმართავდა: ხალხისაგან იღებდა ახალ-ახალ სიტყვებს და საკუთარ ლექსიკურ მარაგსაც ხალხთან ამოწმებდა“ (მახარაძე, 1978:25).

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ 1884 წელს ქართველმა მკითხველმა პირველად ნახა წიგნად დაბეჭდილი სულხან საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“. მისი რედაქტორი და გამომცემელი რაფიელ ერისთავი იყო. ეს გამოცემა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა იმდროინდელი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ახლა, როცა სულხან- საბას ნაშრომის მეცნიერული ღირებულება საყოველთაოდ აღიარებულია, რაფიელ ერისთავის ღვაწლი, როგორც ამ წიგნის პირველი გამომცემლისა, რაღა თქმა უნდა დიდი მნიშვნელობით წარმოგვიდგება.

რაფიელ ერისთავი გამოცემის წინასიტყვაობაში აცხადებდა: „დღევანდლამდის სულხან-საბა-ორბელიანის ლექსიკონი არ ყოფილა არსად დაბეჭდილი და ხელნაწერები კი ზოგიერთ ოჯახებში მოიპოება. მე შევკრიბე რამოდენიმე ლექსიკონები საბა-სულხან ორბელიანისა, შეუთანასწორე ერთმანეთს და ამრიგად შევავესე“ (მახარაძე 1978 :26).

მწერლის თავმდაბალი განცხადების მიუხედავად, ადვილი მისახვედრია, რამდენად ძნელი და საპასუხისმგებლო სამუშაო უნდა შეესრულებინა კაცს, რომელმაც სათავე დაუდო საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ მომდევნო მეცნიერულ გამოცემებს.

ყურადსაღებია აგრეთვე ის, რომ ს ფაქტიც 1885 წელს რაფიელ ერისთავის რედაქციითა და წინასიტყვაობით დაიბეჭდა ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამატიკა“.

საინტერესოა ისიც, რომ ოთხმოციანი წლების დასასრულს, როცა რაფიელ ერისთავმა ხელმეორედ დაბეჭდა თავისი ლექსიკონი, სულხან-საბას „ქართული ლექსიკონი“ და ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამატიკა“, მასვე უცდია რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენა. 1885 წლის ივლისში გაზეთი „ივერია“ თავის ახალ ამბებში იტყობინებოდა: „ჩვენს ნიჭიერ მწერალს რაფიელ ერისთავს განუზრახავს რუსულ-ქართულის ლექსიკონის შედგენა. ეს ძალიან სასიამოვნო ამბავია მით უფრო, რომ ამგვარი ლექსიკონის დიდი საჭიროებაა. ამას ამტკიცებს სხვათაშორის ის გარემოებაც, რომ მესამედ შევსებული გამოცემა ჩუბინიშვილის რუსულ-ქართულის ლექსიკონისა ძლიერ ისყიდება და პირველი ორი გამოცემა ეხლა ძნელად საშოვარი-ღაა“ (გაზეთი „ივერია“, N140, 1885).

ცნობილი ქართველი კრიტიკოსო კიტა აბაშიძე ამბობდა: „რაფიელ ერისთავის ლიტერატურული სახელი და დიდება უფრო საფუძვლიანი და ხანგრძლივი იქნებოდა, რომ იმ დროში არ შეხვედროდა მოღვაწეობა, როცა ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე. რაფიელ ერისთავს შეხვდა ამ მწერალთაგან გაკვალულ გზაზე სიარული. რეალურის პოეზიის შექმნა თუ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ხვედრი იყო, რაფიელ ერისთავის ნიჭიც ამგვარი პოეზიისკენ მიილტვოდა“ (აბაშიძე, 1912 : 242).

რაფიელ ერისთავი ქართველ მწერალთა იმ პლეადას განეკუთვნება, რომელიც თავისი განმანათლებლური საქმიანობით ნიადაგს ამზადებდა ილია ჭავჭავაძის თაობის თვართო და მრავალმხრივი მოღვაწეობისთვის.

აღსანიშნავია, რომ მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან, როცა ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული სკოლა, სწორედ რაფიელიც ამ სკოლას შეუერთდა და მათთან ერთად ქართველი ხალხის ჭირ-ვარამი გაიზიარა.

„რაფიელ ერისთავი აქტიური თანამშრომელი იყო ილია ჭავჭავაძის „ივერიისა“. აქ გამოქვეყნდა მისი ბევრი ლექსი, პოემა, მოთხრობა და დრამატული ნაწარმოები. რაფიელსა და ილიას განსაკუთრებით გულთბილი და საქმიანი მეგობრობა ჰქონდათ. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს „ივერიის“ რედაქციაში, ქართველთა შორის წერა-კითვის გამავრცელებელ საზოგადოებაში და სხვა კულტურულ დაწესებულებებში. ილია დიდად აფასებდა ჩვენი მგოსნის პოეტურ მოღვაწეობას და მის თხზულებებს ყოველთვის თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავდა“ (მახარაძე, 1978 :17).

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან ქართული ინტელიგენცია სათავეში ჩაუდგა ზეპისიტყვიერი მასალების შეგროვებისა და მეცნიერული შესწავლის საქმეს. დაიწყო მრავალფეროვანი ხალხური სიმღერების, ლექსების, ანდაზებისა და სხვა მასალების ჩაწერა და გამოცემა. ერთ-ერთი ამ ადამიანთა შორის ჩვენი პოეტი იყო.

„რაფიელ ერისთავი მთელი სიცოცხლის მანძილზე თავდადებად მოღვაწეობდა ქართველი ხალხის ზეპირსიტყვიერების მასალის შეგროვების, გამოცემისა და მეცნიერული შესწავლის საქმისათვის. იგი, მისდროინდელ სხვა მოღვაწეებთან ერთად, ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიაში საპატიო ადგილს იკავებს“ (მახარაძე, 1978:22).

რაფიელ ერისთავის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში დიდ როლს ასრულებს მისი საჯარო ლექციები ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე, რომელსაც იგი დროგამოშვებით კითხულობდა. ამ ლექციებს ჰქონდა არა მხოლოდ პრაქტიკულ-აღმზრდელობითი, არამედ მეცნიერული ღირებულებაც.

როგორც სხვადასხვა მასალებიდან ჩანს, რაფიელ ერისთავი ასეთი ლექციებისათვის დიდხანს და ნაყოფიერად ემზადებოდა. 1882 წლის დამდეგს, როდესაც ლექციის ტექსტი უკვე დანერილი ჰქონდა, მწერალს უთხოვია ლექციების წაკითხვის ნებართვა.

„მწერლის არქივში დაცულია წასაკითხავი ლექციების პროგრამა, რომელიც რაფიელს სათანადო დაწესებულებებში ნებართვის მისაღებად წარუდგენია. პროგრამა შემდეგ უმთავრეს საკითხებს მოიცავს: „I.- ზოგადი შეხედულებანი ენათა კვლევისა და შედარებათა შესახებ ევროპელ ფილოლოგთა ნაშრომების მიხედვით, II.-თეორია ქართული ენის წარმოშობასა და მის ნათესაობაზე სხვა ენებთან, III.-ამ ენის შემადგენელი ნაწილი, IV.-ქართული ენის შემდგომი განვითარება და სრულყოფა, V.-ამ ენის ნაკლოვანება და სიმდიდრე, VI.-ქართული ანბანის შექმნა, VII.-ქართული ლიტერატურა(სასულიერო და საერო) მეთორმეტე საუკუნემდე, VIII.-ქართული ლიტერატურა(სასულიერო და საერო) მეთორმეტე საუკუნიდან ჩვენს დრომდე“ (მახარაძე, 1978:28-29).

საინტერესო შემდეგი ინფორმაცია, კერძოდ: „რაფიელ ერისთავის მიერ წარდგენილი პროგრამა ჯერ თბილისის გუბერნატორს გაუსინჯავს, ხოლო შემდეგ სასწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიას განუხილავს და წაკითხვის ნებართვა გაუცია“ (მახარაძე, 1978:29).

ქართველურ ენათა ოჯახის წარმომავლობასთან დაკავშირებით წერდნენ: „პირველად პატივცემულმა ლექტორმა მოიყვანა სხვადასხვა მეცნიერთა აზრი იმაზედ, თუ რომელ თემის ენას, რომელ „ოჯახს“ ენებისას ეკუთვნის ქართული ენა და რა საფუძვლით ხელმძღვანელობენ ეს მეცნიერნი ამ საგნის შესახებ. შემდეგ გადავიდა ქართული ენის ლექსიკონის განხილვაზედ, მოიყვანა უანგარიშო სიტყვები იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ შემდგარან ქართული რთული სიტყვები, როგორ გაჩენილა ზოგიერთი მარტივი სიტყვა, ერთსა-და-იმავე სიტყვას რამდენიმე სხვადასხვა აზრი და მნიშვნელობა აქვს და სხვა. ბოლოს ჩამოთვალა ბევრი ქართული სიტყვები, რომელნიც ახლა სრულებით ხმარებაში აღარ არიან, რომელთ

ნაცვლად ახლა უცხო ენის სიტყვებსა ვხმარობთ; ერთის სიტყვით, ბევრი ისეთი მაგალითები წარმოგვიდგინა, რომელიც ქართული ენის სხვა ენებისაგან დამოუკიდებლობასა და სიმდიდრეს გვიმტკიცებდა“ (მახარაძე, 1978 : 29).

საყურადღებოა, რომ მწერალი აკრიტიკებს გაუნათლებელ, უვიც, გზა-კვალ აბნეულ ზოგიერთ ქართველს. ის ამბობს: „ ზოგიერთნი პირნი უმეცრებით, თუ სხვა მიზეზებით მესადინებენ და შემოაქვთ ქართულს ენაში სხვადასხვა ენებიდგან, ვითომც იმათ სანაცვლოთ ახლ-ახალი ლექსები.

„ ჩემის აზრით უმჯობესია ისევ ჩვენი სიტყვები აღვადგინოთ, ვიდრე სხვებისგან სესხობა. და თუ აღარ ვიცით ძველი ქართული ენა, გავიცნოთ და გავაცოცხოლოთ. შესწავლა ხომ ძველს სიტყვებსაც დასჭირდებათ და ნასესხებსაც“ (მახარაძე, 1978 : 32).

ჩვენს მწერალს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული ეთნოგრაფიის განვითარებაში. კერძოდ: „რაფიელ ერისთავი 1855 წლის 25 თებერვალს არჩეულ იქნა გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების ნამდვილ წევრად. აქედან მოყოლებული იგი ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა იმ საქმიანობისა, რომელიც კავკასიური მუზეუმის ჩამოყალიბებისათვის წარმოებს. რაფიელის მოღვაწეობა მუზეუმში განსაკუთრებული მნიშვნელობით წარმოგვიდგება როგორც ნიჭიერი და შრომისმოყვარე ეთნოგრაფისა“ (მახარაძე, 1978:32-33).

„გაზეთი „ივერია“ თავის მკითხველებს ამცნობდა: „ჩვენ შევითყვევით, რომ პატივცემული რაფ. ერისთავი ამზადებს ამჟამად საეთნოგრაფიო წერილს სვანეთის შესახებ და დიდსა და ვრცელს გამოკვლევას სამეგრელოს ყოფა-ცხოვრებისას. რაფიელ ერისთავი დიდხანს იყო სამეგრელოში , საცა შეისწავლა ეს მხარე ჩვენი სამშობლო ქვეყნისა. ოცი წელიწადი იქნება თითქმის, რაც ავტორი ჰპრობობს თურმე ამ თხზულების გასათავებლად და ამჟამად თითქმის დაუსრულებია კიდევ თავისი დიდი და ვრცელი გამოკვლევა“ (გაზეთი „ივერია“, N34, 1888)

ცნობილია, რომ მწერალმა თავისი შრომა სვანეთის შესახებ 1896 წელს დაასრულა და გამოსცა.

გარდა მხატვრული ნაწარმოებებისა, რაფიელ ერისთავის კალამს ეკუთვნის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ნაშრომი: მან შეადგინა და ორჯერ გამოსცა (1873 წ. და 1884 წ.) ლათინურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამყაროდან; ილია ჭავჭავაძესთან ერთად შეადგინა „გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები“ , რომელსაც წინასიტყვაობა დაურთო და გამოსცა 1873 წ. ; აგრეთვე შეკრიბა და 1878 წელს დასტამბა „ქართული გამოცანები“ ; 1880 წელს დაბეჭდა „მოკლე სქემა პირველისა ნაწილისა ღრამმატიკისა“ ; ხოლო 1885 წელს რედაქცია გაუწია და წინასიტყვაობა დაურთო ანტონ I „ქართულ ღრამმატიკას“ ; 1884 წელს მისი რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოვიდა სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“, 1887 წელს კი პოპულარული ნარკვევი „ ქრისტეფორე კოლუმბი“ და სხვ.(მახარაძე, 1978:25).

რ. ერისთავმა თავისი ლექსიკოლოგიური და ტერმინოლოგიური შრომებით ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართულ ფილოლოგიას და ენათმეცნიერებას. 80-იან წლებში იგი ი. ჭავჭავაძესთან, ა. წერეთელთან და ი. გოგებაშვილთან ერთად ჩაება ტერმინოლოგიურ სამუშაოებში და მართებული აზრი გამოთქვა ქართული სამეცნიერო ტერმინების შემუშავების თაობაზე. რ. ერისთავმა დაამუშავა მეცნიერების მთელი რიგი დარგების (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია) ტერმინოლოგია. 24. 03. 2019 წ. (<http://www.bu.org.ge/x1200?page=4&tab=5>) .

საყურადღებოა, რომ ჩვენს მწერალს დიდი წვლილი მიუძღვის ვეფხისტყაოსნის შესწავლის საქმეში. კერძოდ: რ. ერისთავი ბევრს მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე. ჩუბინაშვილის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაში პოეტს საყურადღებო შესწორება შეუტანია. რ. ერისთავის მონაწილეობით 1881 წელს მუშაობა დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გრ. ორბელიანი, დ. ერისთავი, ი. გოგებაშვილი, ი.

მეუნარგია და სხვანი. ამ კომისიის დადგენილი ტექსტის მიხედვით დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული 1885 წლის გამოცემა. რ. ერისთავი ქართული ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დამაარსებელია, რომელსაც მან საკუთარი მდიდარი ბიბლიოთეკა გადასცა უსასყიდლოდ 24. 03. 2019 წ. <http://www.bu.org.ge/x1200?page=4&tab=5>).

რაფიელ ერისთავი, ილიასა და აკაკის აღიარებით, ქართველ სამოციანელთა უშუალო წინამორბედი იყო. იგი ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასაწყისში გამოვიდა ქართული მწერლობის სარბიელზე და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ეწეოდა ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მისი აქტიური მონაწილეობით აღმოცენდა XIX საუკუნის ქართული კულტურის არაერთი ღირსშესანიშნავი კერა: კავკასიის მუზეუმი , რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების საქართველოს განყოფილება, ჟურნალ-გაზეთები: „კავკაზი“ , „ცისკარი“ , „საქართველოს მოამბე“ , „დროება“, „ივერია“ , წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, განახლებული ქართული თეატრი და სხვ. როცა საზოგადო საქმიანობას სათავეში ჩაუდგა განმათავისუფლებელი იდეებით აღჭურვილი ქართველი ინტელიგენციის ახალი თაობა-თერგდალეულების ჯგუფი. რ. ერისთავი უყოყმანოდ გაჰყვა ცხოვრების ამ ახალ დინებას (ბარამიძე, 1974:234).

მგოსანს ასეთი დიდი, უანგარო, მუხლჩაუხრელი სამწერლო და საზოგადოებრივი ღვაწლი ღირსეულად დაუფასა ქართველმა ერმა და 1885 წელს მას პირველად გადაუხადა 50 წლის სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის იუბილე, რომელიც შემდგომ უდიდეს ეროვნულ დღესასწაულად იქცა.

თავი IV. რაფიელ ერისთავის ღვაწლი ქართულ საყმაწვილო ლიტერატურაში

რაფიელ ერისთავს, როგორც ნიჭიერ საბავშვო მწერალს, აღიარებდა და პატივს სცემდა მთელი ქართული ლიტერატურული ინტელიგენცია. მას დიდად აფასებდნენ ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა.

პოეტი ღრმად იცნობს ბავშვის ფსიქოლოგიას, სხვანაირად ვერც შექმნიდა ხელიხელ საგოგმანებელ ლექსებს, რომლებზედაც მრავალი თაობა აღიზარდა. რ. ერისთავის ორიგინალური საბავშვო ლექსებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა: “მერცხალი”, “გაზაფხული”, “დედა ენა”, “შემოდგომა”, “სურათი”, “ზამთარი” და სხვ. ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს ეს უკანასკნელი ლექსი, აღარასდროს დაავიწყდება ზამთრის თვალწარმტაცი სურათი და მოთამაშე ყმაწვილების სახე. რუსი და უცხოელი პოეტებისაგან ნათარგმნი და გადმოკეთებული ლექსებიდან გამოირჩევა: “მიპატიჟება სასანავლებელში”, “ჯერ შრომა, მერე ხტომალი” “დედა და შვილები”, “ნანა”, “შვიდნი ვართ”, “ყვავილების სიმღერა”. პოეტის მიერ თარგმნილი საბავშვო ლექსები ისეთი ოსტატობითაა შესრულებული, რომ ხშირ შემთხვევაში ეჭვიც არ დაგებადებათ მათ ორიგინალობაში. 24.03.2019 წ. (<http://www.bu.org.ge/x1200?page=4&tab=5> გვ.165).

რაფიელ ერისთავს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული საყმაწვილო ლიტერატურის განვითარებაში.

აღსანიშნავია, რომ 1881 წელს დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის შესანიშნავი ლექსი „ზამთარი“. აქ მშვენივრად არის აღწერილი ყმანვილის სიხარული, რაც გამონვეულია ზამთრის არდადეგების დროს სოფელში, მშობლებთან ჩასვლით და მათთან ერთად ახალი წლის შეგებების სურვილით. ბიჭუნაში განსაკუთრებულ სიხარულს იწვევს თოვლი გუნდის კეთება და თოვლში კოტრიალი. ყმანვილი იგონებს თავის პატარობას და თოვლის მოსვლით გამონვეულ აღტაცებას:

„ვხედავ, ვხედავ, დაგვიზამთრდა,

მომავონდა მე ზამთარი;

მომავონდა პანიობა;

მომავონდა მე სახლ-კარი;

მახსოვს, როცა ბალღი ვიყავ,

მიხაროდა თოვლის მოსვლა,

თოვლის გუნდის გაკეთება,

სროლა, თოვლში გორვა, მოსვრა...“

(ერისთავი, 1958:58-59).

გაზეთ „ივერიაში“ ამ საკითხთან დაკავშირებით წერდნენ: „ამ ლექსს წმინდა ხალხური კილო აქვს... კილოს გარდა ასეთის ძლიერის და გამომხატველის ენით არის დაწერილი და ამასთანავე ისე ადვილად შესათვისებელია ყმანვილებისაგან, რომ ეს ლექსი სწორედ ფრანკუზები რომ იტყვიან chef d^ oeuvre - ია“. (გაზეთი „ივერია“, N3, 1881:3).

რაფიელ ერისთავი მალევე იქნა აღიარებული, როგორც ნიჭიერი საბავშვო მწერალი. „რაფიელ ერისთავის ლექსების - „აღდგომა“, „ბზობა“ და „გაზაფხული“-ს შესახებ, გაზეთი „ივერიაში“ წერდნენ: „ბავშვების საკითხავად უკეთეს საგანს ვერ ამოარჩევდა კაცი ლექსისთვის... იმისთანა დღესასწაულების მოგონება, რომელნიც

ათასგვარ შთაბეჭდილებას აღძრავენ ბავშვის გონებაში, დიდად სახალისოა მისთვის და თუ ეს შთაბეჭდილება ლამაზად გალექსილია, ამაზედ უკეთესს საკითხავს ვერას უშოვით. რაფიელ ერისთავს თავისებურად შეუსრულებია ეს ჩინებული აზრი. მარტივის, სწორედ ბავშვურის კილოთი გაულექსავს ის, რასაც ბზობა და აღდგომა მოაგონებს ყმანვილს და ხანდისხან რითმის გულისთვის რომ მეტი ლექსი არ ჩაემატა, ეს ორი ლექსი და მეტადრე მესამე „გაზაფხული“ ჩინებული რამ იქნებოდა“(გაზეთი „ივერია“, N9,1881:135-138).

„ლექსში „გაზაფხული“ პოეტი ლამაზი ფერებით გვიხატავს ზამთრის წასვლას და გაზაფხულის დადგომით გამოწვეულ ბუნებისა და ადამიანის ზეიმს.

„თოვლი აღიღდა ლანქერად,

აღიდა ჩვენი წყლებია,

ბაღებს უხარის, დარბიან,

პაპას გაუთბა ძვლებია,

მიმჯდარა ბერი მყუდროზე,

ყავარჯენს მისჩერებია...

ქვეყანამ გამოიღვიძა,

სიცოცხლე მოსწყურებია!..“

(ერისთავი, 1958 :64).

გაზაფხული, გამოცხლების, გაფურჩქვნის, აყვავების სიმბოლოა. ეს არის წელიწადის ის დრო, როცა ადამიანს სიცოცხლე განსაკუთრებით უხარია, როცა სხვანაირად ხალასია, სხვანაირად ბედნიერი და სიცოცხლისუნარიანია. ეს ყველაზე კარგად მოსჩანს ამ ულამაზეს ლექსში.

„ ანთ. ჯუღელის რედაქციით გამოცემული საკითხავი წიგნების სულის ჩამდგმელად გაზეთმა „ივერია“ რაფ. ერისთავის ლექსები მიიჩნია. მისი აზრით: „ყოველს წიგნში იპოვით იმისთანა ლექსს, რომელიც აღწერს იმ შექცევას, ანუ მუშაობას, რაც აღნიშნულს დროს შეეფერება. პირველს წიგნებშიც თუმცა კარგი ლექსები იყო: „ზამთარი“ და „გაზაფხული“, მაგრამ სიცხოველით,

გამომხატველობით და ენის სიმარტივით ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება ამ ნიგნში დაბეჭდილს „ზაფხულს“(გაზეთი „ივერია“, N10, 1881: 155-158).

ლექსი „ზაფხული“ რაფიელ ერისთავის შემოქმედების ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია, რომელშიც კარგადაა გადმოცემული შრომის ჰიმნი, შრომის სიყვარული. ეს ლამაზი ლექსი მომავალ თაობას შრომის სიყვარულს უნერგავს.

„ამ ლექსში, აღწერილია ზაფხულის ორი უმთავრესი საქმე: მკა და ლენა და ძნელია წარმოიდგინოთ, თუ არ წავიკითხავთ, როგორ ყოველივე წინადადება ამ ლექსში ბავშვის გონებაზედ არის გამოჭრილი, როგორ ყოველივე მათგანი სახავს რომელსამე მუშაობას და მოაგონებს ბავშვს ნამგლის ტრიალს, მუშის გუგუნს, ჰოოპუნას, კვერზედ ჯდომას...“(გაზეთი „ივერია“, N10, 1881:155-158).

„რაფიელ ერისთავის პოეტური დებიუტი ფაქტობრივად იმდროისთვის ერთადერთ ქართულ ლიტერატურულ ჟურნალ „ცისკარში“ შედგა. „ცისკრის“ იმჟამინდელი ავტორების კონსერვატიულ გარემოცვაში, რაფიელის წრიალა ხმა მოისმოდა, როგორც სალამური მეფისნაცვლის დარბაზობაზე:

გაზაფხულისა დიდებავ,
სტუმარო, მოკლე ხნისაო,
ტურთაო, ნაზო, სუნნელო,
მშვენებავ მინდორ-ტყისაო,
რა აჰყვავდები, ფოთოლსა
დაგიჭკნობს სხივი მზისაო,
დილას მოხვალ და სალამოს
მგზავრი ხარ შორი გზისაო.

.....

(ერისთავი 1958:3).

ეს მიმართვა ყვავილისადმი, რომელიც მთავრდებოდა აყვავება-ჭკნობის გარდუვალობის დრამატული შედარებით სიყმანვილე სიბერესთან, ძალზედ ნიშანდობლივი იყო, რადგან რაფიელ ერისთავის პოეტურ მანერას შემდგომშიაც

განასხვავებდა მეტყველების სწორედ ამგვარი სისადავე, ფოლკლორული ტრადიციის გავლენა და ზოგჯერ მიამიტური, ზოგჯერ კი ღრმააზროვანი შეგონება-განზოგადებანი“ (ბორცვაძე, 1989:165)

და მართლაც, რაფიელ ერისთავმა ქართულ საბავშვო მწერლობის ისტორიაში განსაკუთრებული კვალი დატოვა. იგი მართლაც სამართლიანადაა აღიარებული, როგორც ქართული საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსი, რომელმაც დიდ გავლენა იქონია მომდევნო წლების მწერლებზე.

რაფიელ ერისთავმა გზა გაუხსნა ქართველ ხალხოსნებს - ნიკო ლომოურს, სოფრომ მგალობლიშვილს, ეკატერინე გაბაშვილს და სხვებს. მანვე სათავე დაუდო საბავშვო პოეზიის იმ ნაკადს, რომელიც შემდეგ შიო მღვიმელმა განაგრძო. ალბათ ყველას გვახსოვს სკოლის მერხიდან ეს უსაყვარლესი ლექსი :

წამოდექით, ყმანვილებო,
ტანთ ჩაიცივით საჩქაროზე,
აბა, თავი მოიყარეთ
სწავლისათვის თავის დროზე!

ან

სწავლობს გიგლა ტიტინა,
მზემ შემოუჭყიტინა:
-გიგლავ, გეყოფა სწავლა,
ახლა კარგია გავლა...

(ერისთავი 1958 წ, გვ.121-126).

„ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ისინი ქრესტომატიულად ქართული ლექსები რაფიელმა რუსულიდან გადმოაკეთა. სხვათა შორის, მანვე თარგმნა, კრილოვის იგავ-არაკები, პუშკინისა და ტიუტჩევის ლექსები“ (ბორცვაძე, 1989:169).

უნდა აღვნიშნოთ, რომ პოეტი სხვა კარგ თვისებებთან ერთად ოხუნჯობითაც გამოირჩეოდა. „რაფიელის მიდრეკილება კომედიის უანრისადმი (რამდენჯერმე თვითონაც გამოსულა სცენაზე), მისი პიროვნული თვისებებითაც აიხსნება. იაკობ

მანსვეტაშვილი იგონებდა, რომ რაფიელი იყო „ენანყლიანი, ჭკუამახვილი, ოხუნჯი, ხოლო იმისი ოხუნჯობა იყო ნამდვილი ძველებური ქართული, დარბაისლური. ვის სადღეგრძელოსაც დაღევდა, უსათუოდ შესაფერ სახუმარო სიტყვითაც მიმართავდა, ხან ექსპრომტათ ლექსსაც ჩააკერებდა“ (მანსვეტაშვილი, 1936:116).

საინტერესოა მწერლის შესახებ დაცული ცნობა, სადაც ვკითხულობთ: „საქართველოში ჩამოსულმა არტურ ლაისტმა, თავდაპირველად, ეტყობა, სწორედ რაფიელის თამალობით და მისი არტისტიზმით მოხიბლულმა, განსაკუთრებული გულისყურით გადაიკითხა და თარგმნა რაფიელის ლექსები, ხოლო მათი ავტორი გერმანელ მკითხველს ილიასა და აკაკის შემდეგ წარუდგინა. ეს არ გახლდათ ზრდილობიანი ევროპელის რევერანსი. 80-იანი წლებიდან რაფიელი სულ უფრო და უფრო მკვიდრად იკავებს ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე (ბორცვაძე, 1989:170).

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით გაუთბო გული პოეტს მისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის საიუბილეო საღამომ. ამგვარი საღამო პირველი იყო ქართულ სინამდვილეში: სცენაზე მარცხნივ ილია ედგა, მარჯვნივ-აკაკი. პირველი მისალმებაც სწორედ მათი იყო... კიდე ერთხელ იქუხა ტაშმა, როდესაც კოტე მესხმა შიო მღვიმელის იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა. დარბაზი მხოლოდ მაშინ გაირინდა, მსახიობმა რაფიელის სამადლობელო ლექსის კითხვა რომ დაიწყო:

ქართლ-კახეთ-ხევსურ იმერი,
თუშ-ფშაველ-მეგრულ-გურული,
მთლად საქართველო მოყრილა,
ერთად ძგერს ერის აქ გული...
ყველა მილოცავს სიბერეს,
ჩემზე ლესავენ ენასა,
სიტყვით ლამაზით, კაზმულით,
სცდიან ჩემს გამოჩენასა!

.....
(ერისთავი, 1958:154).

„ცხოვრების ბოლო წლები რაფიელ ერისთავმა თელავში გათხოვილი ქალიშვილის-ანასტასია კახიძის გვერდით გაატარა, თელავშივე გარდაიცვალა იგი 1901 წლის 19 თებერვალს. აქედან წაასვენეს თავისი მოხუცი მესაიდუმლის ცხედარი თავჩაქინდრულმა კახელმა ტლუ-ბიჭებმა თვრამეტ ვერსზე, ქისტაურამდე, რათა პოეტის ანდერძის თანახმად, საგვარეულო სასაფლაოზე დაეკრძალათ, იქ, სადაც „მამა-პაპათა კუბოს ფიცარი ეგულვებოდა“...

ჩვენ მხოლოდ ზოგადი აღწერა შემოგვრჩა იმ დაკრძალვისა, მაგრამ თვითველ ჩვენგანს შეუძლია თვალნათლივ წარმოისახოს იქ დაღვრილი ალალი ცრემლიც, დაკოჟრილი ხელით ჩაბლუჯული მუჭა მინაც, და გაიგონოს უხმოდ, გულში გამეორებული უკვდავი ტაეპები პოეტისა(ბორცვაძე, 1989:171-172).

არ გავცლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა ,

არ გავცლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნი სამოთხეზედა!...

სამშობლოს სიყვარულით გულანთებული პოეტი, ჩვენი ქვეყნის მეხოტბე, დღენიადავ საქართველოს სადარაჯოზე იდგა და მუხლჩაუხრელად იბრძოდა მრავალტანჯვამოვლილი, ქვეყნისთვის, ქვეყნისთვის, რომელიც ყველასთვის ქართველისთვის, თუ არა ქართველისთვის ასოცირდება გენიალურ რუსთაველთან, გურამიშვილთან, სულხან-საბასთან, ვაჟასთან, გალაკტიონთან და სხვა მრავალ ბუმბერაზ პიროვნებებთან.

ამრიგად, „ქართველმა ხალხმა პოეტის სიცოცხლეშივე შეიგრძნო რაფიელ ერისთავის სისხლხორცეული კავშირი სამშობლო მინასთან. ამიტომ იგი იმთავითვე იქცა ხალხის საყვარელ პოეტად. ერმა ყველაფერში, რასაც რაფიელი შეჰხებია, სამშობლოსადმი მისი უსაზღვრო სიყვარული ამოიკითხა. ამიტომ არ დანებდა პოეტი ისტორიული წარმავლობის მსახვრალ ხელს. რაფიელ ერისთავი დღესაც ისეა ამეტყველებული, თითქოს ჩვენი თანამედროვე იყოს. იგი ჩვენ წინაშე ხელახალი სიცოცხლით აღიმართა“ (ვაშაყმაძე, 1974:78-79).

ძირითადი დასკვნები

რაფიელ ერისთავის შემოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში. მისი ლექსები გამსჭვალულია მაღალი ეროვნული სულისკვეთებით. რაფიელ ერისთავის შემოქმედებამ, განსაკუთრებით კი მისმა ეროვნულ-პატრიოტულმა ლექსებმა, ქართველი ხალხის გულწრფელი სიყვარული და აღიარება დაიმსახურა. რომელი ფორმაც ქართულ მწერლობაში სამოციანელებმა დაამკვიდრეს. პოეტის მიზანი სწორედაც მათი იდეების დამკვიდრება იყო. საგულისხმოა, რომ სამოციანელთა მოღვაწეობამ ბევრი კარგი

რამ მისცა რაფიელ ერისთავის პოეტურ ფანტაზიას, მან უფრო მეტად გაათავართოვა თავისი თემატიკა და გამოიმუშავა წერის არაორდინალური მანერა.

რაფიელისათვის ეროვნულობა, სამშობლოს დამოუკიდებლობა და ქვეყნის ისტორია იმდენად სათუთია, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არათუ ლექსებით არამედ პოემებითაც იხსენებს საქართველოს წარსულ ამბებს, ქვეყნის ტკივილს.

მის შემოქმედებაში ვხვდებით: ლექსებს, მოთხრობებს, ისტორიულ პოემებს, პიესებს და თარგმანებს, რომლებიც დღესაც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

პოეტისა და საზოგადო მოღვაწის შემოქმედებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა, ეროვნული თავისუფლების მოტივია. ეს მოტივი მის შემოქმედებაში თავს იჩენს სამწერლობო ასპარეზზე გამოჩენის პირველივე დღეებიდან. მის ლექსებში გამოსჭვივის ის რწმენა, რომელი რწმენითაც უნდა იზრდებოდეს ქართველი.

რაც შეეხება მისი ლექსის ზომასა და მუსიკალობას, სადაა და ხმიერი. მის შემოქმედების სათავე ხალხური სიტყვიერება, ერის იტორია და ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრებაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აღსანიშნავია, მისი საზოგადოებრივ-მეცნიერული ღვაწლი, რითაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართულ მწერლობაში.

ამრიგად, რაფიელ ერისთავი ქართველ მწერალთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელსაც ლიტერატურის ისტორია ყოველთვის დადებითად და თბილად მოიხსენიებს, იგი უპირველეს ყოვლისა მწერალია, მაგრამ მას ასევე დიდი წვლილი მიუძღვის კულტურის სხვა სფეროების განვითარებაშიც. რაფიელის კალამს ეკუთვნის სხვადასხვა ნაშრომები ქართული ენის, ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე, რომელთაც ღირებულება დღემდე არ დაუკარგავთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბორცვაძე, 1989:** ბორცვაძე ზურაბ, „ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკა 1980-1921 წ.წ.) გამომც. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბ.,
2. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, №33, 2010 წ.

3. **ერისთავი, 1895:** ერისთავი რაფიელ, „საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო“(1895 წ. 22 ღვინობისთვის), გამომც. „კრებული“, თბ.,
4. **ერისთავი, 1958:** ერისთავი რაფიელ „ქართული კლასიკური მწერლობა“, ანდრო თევზაძის რედაქტორობით, გამომც. „საბჭოთა მწერალი“, თბ.,
5. **ერისთავი, 1974:** ერისთავი რაფიელ, „ლექსები“, „პოემები“ გამომც. „ნაკადული“, თბ.,
6. **ერისთავი, 1958:** ერისთავი რაფიელ, „რჩეული თხზულებანი“ გამომც. „საბჭოთა მწერალი“, თბ.,
7. **ენციკლოპედია...2007:** საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენლები: ე. გაბიძაშვილი, მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე, თბილისი.,
8. **ვაშაყმაძე, 1974:** ვაშაყმაძე შოთა, „რაფიელ ერისთავის დაბადების 150 წლისთავი“, გამომც. „განათლება“, თბ.,
9. **თევზაძე, 1962:** თევზაძე ანდრო, „ლიტერატურული წერილები და ნარკვევები“, გამომც. თბ.,
10. **თალაკვაძე, 1952:** თალაკვაძე მარიამ, ი. გოგებაშვილი „თხზულებანი“, ტ. I, გამომც. „განათლება“, თბ., „სხვა საქართველო სად არის...“, წიგნი მეორე, გამომცემლობა „ქართული“, თბ.,
11. **კეკელიძე, 1980:** კეკელიძე კორნელი, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტომი I, გამომცემლობა „მეცნიერება“ თბ.,
12. **კეკელიძე, 1936:** კეკელიძე კორნელი, „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“ ტ. II, ალექსანდრე ბარამიძის რედაქტორობით, გამომცემლობა „მეცნიერება“ თბ.,
13. **კოტეტიშვილი, 1959:** კოტეტიშვილი ვახტანგ, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ.,
14. **მახარაძე, 1978:** მახარაძე აპოლონ, „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ. III, გამომც. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბ.,

15. მაჭავარიანი, 2007: მაჭავარიანი მუხრან, „ლექსები, პოემა“, გამომც. „ინტელექტი“, თბ.,
16. ნატროშვილი 1969: ნატროშვილი გიორგი, ჯიბუტი, გამომც. „მერანი“, თბილისი 1975 წ.).
17. ორბელიანი, 1928: სულხან- საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი“, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი.
18. (<http://studinfo.edu.aris.ge/2015/05/20/ena-dedaa-eris-anu-deda-gavaucxovet/>).
19. (<http://www.bu.org.ge/x1200?page=4&tab=5>).